

დაწესებულებებში მომუშავე სექს-მუშაკების
მახასიათებლები, მაღალი რისკის შემცველი
ქცევები, სქესობრივი გზით გადამდები
ინფექციების/აივ/შიდსის შესახებ ცოდნა და
ამ ინფექციების გავრცელება, ბათუმი,
საქართველო, 2004

ქცევის ზედამხედველობის კვლევა ბიომარკერული კომპონენტით

ანგარიში სქესობრივი გზით გადამდები
ინფექციებისა და აივ/შიდსის პრევენციის
პროექტისათვის

- ფედერაცია "გადაგარჩინოთ ბავშვები": სგგი/აივ/შიდსის პრევენციის პროექტი (SHIP Project)
- საინფორმაციო სამედიცინო-ფსიქოლოგიური ცენტრი თანადგომა
- ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო/პრაქტიკული ცენტრი

მარტი 2006



Save the Children.



Infectious Diseases,
AIDS and Clinical
Immunology Research
Center



Tanadgoma



USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE

სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების/აივ/შიდსის პრევენციის პროექტი ხორციელდება ჯანდაცვაში სათანადო ტექნოლოგიების პროგრამასთან (PATH), ცენტრთან "თანადგომა" და საზოგადოებრივ გაერთიანება ბემონთან ურთიერთთანამშრომლობით, ასევე, ინფექციური პათოლოგიის, აივ/შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ცენტრთან, ნარკოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთან, კანისა და ვენსნეულებების სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთან და ბათუმის დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის რესპუბლიკურ ცენტრთან მჰქიდრო თანამრომლობით.

მოცემული პერიოდი დაფინანსდა ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ ფედერაციის "გადაგარჩინოთ ბავშვები" სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების/აივ/შიდსის პრევენციის პროექტის ფარგლებში (ერთობლივი შეთანხმება 114-A-00-02-00095-00). მოცემულ ანგარიშში გამოთქმული აზრები აუცილებლივ არ ასახავს ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს შეხედულებებს.

ავტორები:

ქეთევან სტეფანია, MD, MPH, ინფექციური პათოლოგიის, აივ/შიდსისა
და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-
პრაქტიკული ცენტრი
ლარი დერშემი, Ph.D, ფედერაცია "გადავარჩინოთ ბავშვები",
საქართველოს ოფისი
ნინო წერეთელი, სგგი/აივ/შიდსის პრევენციის პროექტის
კოორდინატორი, საინფორმაციო სამედიცინო-
ფსიქოლოგიური ცენტრი "თანადგომა"
ოვა ცაგარელი, ექიმი, სგგი/აივ/შიდსის პრევენციის პროექტის
დირექტორი, ფედერაცია "გადავარჩინოთ
ბავშვები", საქართველოს ოფისი
თამუნა წერეთელი, ექიმი, MSc., Ph.D., სგგი/აივ/შიდსის პრევენციის
პროექტის ქცევის ზედამხედველობის კვლევის
მენეჯერი, ფედერაცია "გადავარჩინოთ ბავშვები",
საქართველოს ოფისი

კვლევაში ჩართული სოციალური მუშაკები (ცენტრი "თანადგომა"):

შოთა მახარაძე
ქეთევან ჯიბლაძე

ინტერვიუერები (საზოგადოებრივი აზრის კვლევისა და მარკეტინგის
ინსტიტუტი IPM):

ნათია ფოფხაძე
თიკო მეფარიშვილი

ლაბორატორიული დიაგნოსტიკა:

მანანა ღვაძეგრიძე, MS., სეროლოგიისა და ვირუსოლოგიის
ლაბორატორიის უფროსი
ლელა ძიგუა, MS., ლაბორატორიის ექიმი, სეროლოგიისა და
ვირუსოლოგიის ლაბორატორია
ოზაბელა ზანანიანი, ლაბორატორიის ექიმი, ბათუმის დედათა და
ბავშვთა ჯანმრთელობის რესპუბლიკური ცენტრის
ლაბორატორია

რედაქტორი:

ჩარლი კაფტენი, დირექტორი, ფედერაცია "გადავარჩინოთ ბავშვები",
საქართველოს ოფისი

ტექნიკური დახმარება:

გონა ცეიტიშვილი, საზოგადოებრივი აზრის კვლევისა და
მარკეტინგის ინსტიტუტი, თბილისი, საქართველო.

თარგმანი (ინგლისურიდან ქართულ ენაზე):

ნინო წერეთელი, ცენტრი "თანადგომა"

სარჩევი

სარჩევი	3
სურათები და დიაგრამები	4
ცხრილები	5
ზონასიტეტება	6
შემოკლებები	8
განმარტებები	8
რეზიუმე	11
 შესავალი	23
ეთიკის საკითხები	26
მეთოდოლოგია	26
მეფინგი	27
კვლევის ინსტრუმენტი	29
ბიომარკერული ტესტირება	30
მონაცემთა ბაზის შექმნა და სტატისტიკური ანალიზი	31
 კვლევის შედეგები	31
სექს-მუშავის პორტრეტი - მაია	31
სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლები	33
მაღალი სარისკო ქცევები, ცოდნა სგვი-ს და აიგ/შიდსის შესახებ	36
სქესობრივი ქცევა კლიენტებთან	36
სქესობრივი ქცევა მუდმივ კლიენტებთან	37
სქესობრივი ქცევა მუდმივ სქესობრივ პარტნიორთან	38
კონდომის ხელმისაწვდომობა	39
ბათუმში სექს-მუშავებზე განხორციელებული ძალადობა	40
ტრეფიკინგი და საზღვარგარეთ მუშაობა	40
ცოდნა და ტესტირება აიგ/შიდსზე	42
აიგ/შიდსის შესახებ ინფორმაციის წყაროები	44
სექს-მუშავების დამოკიდებულება აიგ ინფიცირებული ადამიანების მიმართ	45
აიგ/შიდსზე და სგვი-ზე ტესტირების შედეგები	46
დასკვნები	47
 რეკომენდაციები	50
მონაცემთა ცხრილების დანართი	54
 კითხვარი	74

სურათები და დიაგრამები

სურათი 1: საქართველოს ოშპა: მოსახლეობა - 4.4 მილიონი.....	10
სურათი 2: გათუმა 120.000; აჭარა, მოსახლეობა 380.000	10
დიაგრამა 1: ა03-ის ახალი შემთხვევების რაოდენობა 1996-დან 2004 წლის ჩათვლით	24
სურათი 3: გათუმას სექციები, გამოყენებული სექს-მუშაკებზე დაკვირვებისა და გევინგისთვის	28
დიაგრამა 2: სექს-მუშაკების განაწილება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით....	33
დიაგრამა 3: გამოყენებული სექს-მუშაკების განაწილება განათლების დონის მიხედვით	34
დიაგრამა 4: სექს-მუშაკებში ალკოჰოლის მოხმარების სიხშირე	34
დიაგრამა 5: სექს-მუშაკების საშუალო ასაკი პირველი კომერციული სქესობრივი კავშირის დროს	35
დიაგრამა 6: გოლო 1 თვის განმავლობაში კლიენტებთან კონდომის მუდმივად გამოყენება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით.....	36
დიაგრამა 7: კონდომის მუდმივი გამოყენება მუდმივ კლიენტებთან გოლო 12 თვის განმავლობაში ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით	38
დიაგრამა 8: კონდომის არბამოვნების მიზანები უკანასკნელი სქესობრივი კონტაქტის დროს კლიენტთან და მუდმივ კარტნიორთან.....	38
დიაგრამა 9: კონდომის შოვნის ადგილები	39
დიაგრამა 10: უკანასკნელი წლის განმავლობაში სექს-მუშაკებზე განხორციელებული სექსუალური და/ან ვიზიტური ძალადობა	40
დიაგრამა 11: იმ სექს-მუშაკების პროცენტული რაოდენობა, რომლებმაც სწორად დასახელეს სბბი/აიზ-ის პრევენციის როსივე საშუალება	43
დიაგრამა 12: 30ს შეატყობინებდა სექს-მუშაკი, აიზ ინფორმებული რომ კოვიდი.....	44
დიაგრამა 13: კოველდოური რადიოს მოსმენა ან ტელევიზორის გურება.....	45
დიაგრამა 14: სექს-მუშაკების დამოკიდებულება აიზ ინფორმებული კდამიანის მიზარი	45

ცხრილები

ცხრილი 1: ბათუმში სექს-მუშაკების დამახასიათებელი 0640პატრონების მოკლე მიმოწერილვა.....	21
ცხრილი 2: ბათუმი, საქართველო, ქცევის უძღვესებელობის კვლევა გიორგარმუშილი კომარნენტით - დაზარვის არჩალი	54
ცხრილი 3: სექს-მუშაკების მხრიდან კვლევაში მონაწილეობაზე უარის თქმის მიზეზები.....	54
ცხრილი 4: სექს-მუშაკების დემოგრაფიული მახასიათებლები ბათუმში.....	55
ცხრილი 5: ბათუმში სექს-მუშაკების ცხოვრების პირობები რჯახური მდგრადარეობის მიხედვით	56
ცხრილი 6: ბათუმში სექს-მუშაკების მიერ ნარკოტიკებისა და ალკოჰოლის მოხმარება	57
ცხრილი 7: ბათუმში სექს-ბიუნესის სფეროში მუშაობის ასპექტები სექს-მუშაკებისთვის	58
ცხრილი 8: სექს-მუშაკების სქესობრივი ქცევა კლიენტებთან	59
ცხრილი 9: სექს-მუშაკების სქესობრივი ქცევა მუდმივ კლიენტებთან	61
ცხრილი 10: სექს-მუშაკების სქესობრივი ქცევა მუდმივ პარტნიორებთან	62
ცხრილი 11: კონდომების ხელმისაწვდომობა სექს-მუშაკებისთვის	64
ცხრილი 12: ძალადობა სექს-მუშაკებს შორის ბათუმში.....	65
ცხრილი 13: ტრეჭიპინები და საზღვარგარეთი მუშაობა.....	66
ცხრილი 14: ცოდნა სბბი/აიგ/შიდსის შესახებ და ჯანმრთელობის მდგრადარეობის გაუმჯობესებისაკენ მიმართული ქცევა სექს- მუშაკებს შორის	69
ცხრილი 15: აიგ/შიდსის შესახებ ცოდნა და აიგ-ზე ტესტირება.....	70
ცხრილი 16: სბბი/აიგ/შიდსზე 0640რმაციის წყაროები	72
ცხრილი 17: სექს-მუშაკების დამოკიდებულება აიგ პოზიტიური ადამიანების მიმართ.....	73
ცხრილი 18: სბბი/აიგ/შიდსის ბაზრცელება სექს-მუშაკებს შორის ბათუმში	73

ზინასიტჰგაობა

ქცევის ზედამხედველობისა და ბიომარკერული მახასიათებლების კვლევები და ანგარიშები არის მრავალი პიროვნების, ორგანიზაციისა და ინსტიტუტის ძალისხმევის შედეგი – დაწყებული პროექტის ჩასახვიდან დაგეგმვის, საველე სამუშაოების, მონაცემთა ანალიზის, მათი წერილობითი ფორმით ჩამოყალიბებისა და რედაქტირების ჩათვლით. ყოველი მათგანის წვლილი შეუფასებელია. ამ მნიშვნელოვანი კვლევებისთვის საჭირო თანხები გაიღო ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისი განვითარების სააგენტომ (USAID).

დაგეგმვის ადრეულ ეტაპებზე კვლევა დიდწილად ეფუძნებოდა პროფესიონალიზმს, გამოცდილებასა და ცოდნას, რომელიც თბილისში სექს-მუშაკებთან დაკავშირებით გააჩნდათ საინფორმაციო სამედიცინო-ფსიქოლოგიურ ცენტრ "თანადგომასა" - და შიდსის ცენტრს. ორივე ეს ორგანიზაცია ჩართულია ფედერაციის "გადავარჩინოთ ბავშვები" სგგი/აივ/შიდსის პრევენციის პროექტში. ამ ორგანიზაციების მუშაობამ განსაკუთრებით წამყვანი როლი ითამაშა აღნიშნული პელეგვის წამოწყებაში. ამაზე დაყრდნობით, ჯინა დალაბეტამ ოჯახის ჯანმრთელობის საერთაშორისო ორგანიზაციიდან (რომელიც ამჟამად მოღვაწეობს ბილ და მელინდა გეიტსების ფონდში), წარმართა კვლევაზე მუშაობის პროცესი, რომელიც აღსავსე იყო ახალი აღმოჩენებით სექს-მუშაკებთან დაკავშირებით, რამაც დიდი წვლილი შეიტანა კვლევის დროს გამოყენებულ პროტოკოლებში. ჯინა დალაბეტას რჩევა და ხელმძღვანელობა არა მხოლოდ დიდი გამოცდილება იყო პროექტში ჩართულთათვის, არამედ გადამწყვეტიც საბოლოოდ გამოყენებული ანონიმური და ნებაყოფლობითი სისტემური მეთოდოლოგიის ჩამოყალიბებაში.

ამ წამოწყების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მხარე იყო საველე სამუშაოები. "თანადგომას" მთელმა შტატმა ძალიან დიდი დრო დაუთმო კვლევის მომზადებას და სისხლისა და შარდის ნიმუშების აღებას. ფედერაციის "გადავარჩინოთ ბავშვები" მდღოლებმა ითამაშეს სასიცოცხლო როლი ტესტირებისთვის სისხლისა და შარდის ნიმუშების ტრანსპორტირებაში. გარდა ამისა, თითოეული პიროვნება, ჩართული ამ საქმიანობაში, თანაგრძნობითა და დიდი მზრუნველობით მოეკიდა სექს-მუშაკების უფლებების დაცვას. ხარისხის კონტროლისა და მონაცემთა შეგროვების პროცესის გაუმჯობესებისთვის დაქირავებულ იქნა თათია ფოფხაძე, როგორც დამოუკიდებელი კონსულტანტი. მისი რეკომენდაციები ძალზე სასარგებლო იქნება განმეორებითი კვლევებისას. საზოგადოებრივი აზრის კვლევისა და მარკეტინგის ინსტიტუტმა (IPM) უკიდურესი პროფესიონალიზმითა და მოქნილობით ჩაატარა კითხვარების პრეტესტირება, შექმნა მონაცემთა ბაზა და ჩაატარა გამოკითხვა. განსაკუთრებით დიდი მადლიერება უნდა იქნეს გამოხატული IPM-ის დირექტორის, ბატონ გოჩა ცქიტიშვილის მისამართით მის მიერ აღმოჩენილი ტექნიკური დახმარებისათვის.

შეუძლებელია ყველა იმ ავტორის ჩამოთვლა, ვინც მონაწილეობა მიიღო მოცემული ანგარიშის დამუშავებაში. ბევრმა ადამიანმა წაიკითხა და შეასწორა ანგარიში და შეიტანა დირექტოლი წვლილი

საბოლოო ვერსიის ჩამოყალიბებაში. დადგა რა საბოლოო გასწორების დრო, ჩარლი კაფტენმა, ფედერაციის "გადავარჩინოთ ბავშვები" საქართველოს ოფისის დირექტორმა, დიდი დრო და ძალისხმევა მოახმარა ანგარიშის საბოლოო ვერსიის რედაქტირებას. თუმცა, ნებისმიერი ხარვეზი, რომელიც შეიძლება პქონდეს წარმოდგენილ ანგარიშს, მხოლოდ ჩამოთვლილ ავტორებს შეიძლება მიუწეროს.

ნებისმიერი დოკუმენტის თარგმნა, განსაკუთრებით ანგარიშისა, რომელიც დაწერილია სპეციფიკური ტექნიკური, ჯანდაცვისა და სტატისტიკური ტერმინოლოგიის გამოყენებით, არის საკმაოდ რთული. მიუხედავად ამისა, ნინო წერეთელმა შეძლო, მოეწოდებინა ქართულ ენაზე ანგარიშის მაღალკალიფიციური ვერსია; ამგვარად, ეს ანგარიში ხელმისაწვდომი ხდება ფართო ქართული აუდიტორიისთვის, ვინც კი დაინტერესებულია სექს-მუშაკებისთვის სამედიცინო სამსახურების და მკურნალობის გაუმჯობესების საკითხებით.

დაბოლოს, სგბი/აიგ/შიდსის პრევენციის პროექტმა უნდა აღიაროს იმ ადამიანების წვლილი, ვინც მოისურვა, დაეთმო დრო, გაეზიარებინა თავისი ცხოვრების ისტორიები და მოეწოდებინა სისხლისა და შარდის ნიმუშები, რათა ეს ანგარიში ხორცშესხმული ყოფილიყო. ესენი არიან თვითონ სექს-მუშაკები. მათი კეთილი ნება, მიეღოთ მონაწილეობა ამ წამოწყებაში საქართველოში მცხოვრები ყოველი ადამიანისათვის დადებითი და ჯანმრთელი მომავლის პერსპექტივას რეალურად აქცევს.

შემოკლებები

შიღსი - შემანილი იმუნოდეფიციტის ვირუსი

შიღსის ცენტრი – ინფექციური პათოლოგიის, აივ/შიღსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო/პრაქტიკული ცენტრი

BSS - ქცევის ზედამხედველობის კკლუბი

CT - *Chlamydia Trachomatis*

ELISA - ენზიმური შეკვეთული იმუნოსორბენტული ანალიზი

პივ - ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსი

IgG - იმუნოგლობულინი G

NG - *Neisseria gonorrhoea*

IPM – საზოგადოებრივი აზრის კკლუბისა და მარკეტინგის ინსტიტუტი

პ/ო - არასამთავრობო ორგანიზაცია

PCR - პოლიმერაზაციის ჯაჭვური რეაქცია

RPR - მიკრორეაქცია კარდიოლიპიდური ანტიგენით

სბბი - სქესობრივი გზით გადამდები ინფექციები

TLS (Time-Location Sampling) – შერჩევა დროისა და ადგილის მიხედვით

TP - *Treponema pallidum*

TPHA - ჰემაგლუტინაციის რეაქცია სპიროქეტული ანტიგენით

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია

SPSS - სტატისტიკური პაკეტი სოციალური მეცნიერებებისათვის

SHIP Project - სგგი/აივ/შიღსის პრევენციის პროექტი

VCT - ნებაყოფლობითი კონსულტირება და ტესტირება აივ-ზე

USAID - ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო

განვითარების სააგენტო

განმარტებები

რესპონდენტზე ბმული, ანონიმური ტესტირება - ტესტირება, რომლის

დროსაც სახელი არ არის ცნობილი, მაგრამ შედეგები

დაკავშირებულია ციფრთან, რომელიც მხოლოდ მონაწილისათვის არის ცნობილი.

კონდომის მუდმივად გამოყენება: კონდომის გამოყენება ყოველი

სქესობრივი კონტაქტის დროს, იქნება ეს ვაგინალური, ორალური თუ ანალური სქესობრივი კავშირი.

განქორწინებული: პიროვნება, რომელმაც ოფიციალურად შეწყვიტა ქორწინება.

სექს-მუშაკის კლიენტი: პიროვნება, რომელთანაც სექს-მუშაკმა ფულის

ან სხვა მატერიალური საფასურის სანაცვლოდ დაამყარა სქესობრივი კონტაქტი.

მაღალი რისკის ქცევა: ნებისმიერი ქცევა, რომელიც ქმნის პიროვნების

ან პიროვნებების სგგი/აივ/შიღსით ინფიცირების ან მეორე

პიროვნებაზე ამ ინფექციების გადაცემის საფრთხეს (მაგ. მრავალი

სქესობრივი პარტნიორის ყოლა კონდომის არასისტემატური

გამოყენებით; არასტერილური საზიარო ნემსების გამოყენება

ნარკოტიკების ინექციური გზით მომხმარებლებში).

მუდმივი კლიენტი: კლიენტი, რომელიც სშირად იყენებს ერთი

კონკრეტული სექს-მუშაკის სქესობრივ მომსახურებას.

რეგულარული სქესობრივი პარტნიორი: მეუღლე/შეყვარებული/პიროვნება, ვისთანაც სექს-მუშაკი თანაცხოვრებას ეწევა და ამყარებს სქესობრივ კონტაქტს ფულადი ანაზღაურების გარეშე.

განცალკევებული: პიროვნება, რომელიც არ ეწევა თანაცხოვრებას და შეწევეტილი აქვს ურთიერთობა მეუღლესთან ქორწინების ლეგალური სტატუსის დარღვევის გარეშე.


დაწესებულებებში მომუშავე სექს-მუშაკი: ქალი, რომელიც ბარებში, საუნებში, სასტუმროებში თუ სხვა დაწესებულებებში იმყოფება, იქ ეძებს სქესობრივ პარტნიორებს და ფულის სანაცვლოდ ამყარებს მათთან სქესობრივ კავშირს.

ქუჩაში მომუშავე სექს-მუშაკი: ქალი, რომელიც ქუჩებში სეირნობის ან გარკვეულ ადგილზე დგომის საშუალებით ეძებს სქესობრივ პარტნიორებს და ფულის სანაცვლოდ ამყარებს მათთან სქესობრივ კავშირს.

სურათი 1: საქართველოს რეგიონი: მოსახლეობა – 4.4 მილიონი



სურათი 2: გათუში 120.000; აპარა, მოსახლეობა 380.000



რეზიუმე

ეს დოკუმენტი წარმოადგენს ქცევის ზედამხედველობის და ბიომარკერული მაჩვენებლების პირველი კვლევის (BSS) ანგარიშს. BSS კვლევა სექს-მუშაკებს შორის პირველად ჩატარდა ბათუმში, საქართველოში. იგი გამოყენებული იქნება სექს-მუშაკებს შორის სგბი/აივ-ის გავრცელების საბაზისო გაზომვისათვის, ისევე, როგორც სხვადასხვა სარისკო ქცევის შეფასებისთვის, რომლებიც ხელს უწყობს ინფექციების გავრცელებას სექს-მუშაკებში. გარდა ამისა, ეს ანგარიში იძლევა ქცევის შეცვლაზე მიმართული ინტერვენციების დაგეგმვისა და შეფასების საფუძველს ფედერაციის "გადავარჩინოთ ბარშვები" სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების/აივ/შიდის პრევენციის (SHIP) პროექტის ფარგლებში.

მონაწილეების შეგროვებისათვის გამოყენებული იყო დროისა და ადგილის მიხედვით შერჩევის (TLS – Time-Location Sampling) მეთოდოლოგია. ალბათური შერჩევის ეს მეთოდოლოგია ეყრდნობა იმ ფაქტს, რომ ზოგი ფარული პოპულაციისათვის დამახასიათებელია კონკრეტული ტიპის ადგილებში შეკრება ან თავმოყრა. კვლევამდე ბათუმში კომერციული სექსის შესახებ გარკვეული წინასწარი მონაცემების მისაღებად ჩატარდა ხარისხობრივი კვლევა როგორც სექს-მუშაკებთან, ისევე ამ ინფორმაციის მქონე ზოგიერთ საკვანძო პირთან. ამ კვლევამ აჩვენა, რომ თბილისისგან განსხვავებით, ბათუმში ძალიან ცოტაა ქუჩაში მომუშავე სექს-მუშაკები. როგორც წესი, ეს ჯგუფი მუშაობს ბარებში, საუნებში, სასტუმროებსა და რესტორნებში. ამდენად, კვლევა ჩატარდა დაწესებულებებში მომუშავე სექს-მუშაკებს შორის.

კვლევისათვის შერჩევის ფორმატის დასადგენად და ბათუმში დაწესებულებებში მომუშავე სექს-მუშაკების რაოდენობის, მათი სამუშაო ადგილების და სამუშაო საათების დადგენის მიზნით, 2004 წლის ოქტომბერ-ნოემბერში ჩატარდა "მეფინგი" – მონაცემების ეთნოგრაფიულ რეკაზე დატანის პროცედურა. ამის შედეგად, ჯამში დაწესებულებებში მომუშავე 120 სექს-მუშაკი იქნა რეკრუტირებული და გამოკითხული კვლევის დროს. პირისპირ ინტერვიუები ჩატარდა კლინიკა „ჯანმრთელობის კაბინეტში“, რომელიც განთავსებულია დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის რესპუბლიკურ ცენტრში. ინტერვიუები ჩატარეს „საზოგადოებრივი აზრის კვლევისა და მარკეტინგის ინსტიტუტის“ გამოცდილმა ინტერვიუერებმა. სექს-მუშაკებს დაუსკვეს შეკითხვები მაღალი რისკის ქცევების, სგბი-სა და აივ/შიდისზე ცოდნის და ჯანდაცვის დაწესებულებებში მათი მიმართვიანობის შესახებ. ინტერვიუს შემდეგ ყოველ რესპონდენტს შესთავაზეს შარდის და სისხლის აღება სქესობრივი გზით გადამდებ ინფექციებზე (სგბი-ზე) და აივ ინფექციაზე ანონიმური ტესტირების ჩასატარებლად. გამოკითხული 120 სექს-მუშაკიდან ყველამ ჩაბარა შარდისა და 115-მა - სისხლის სინჯი. პრევალებრიბის მაჩვენებლებია: გონორეისათვის 14.2%, ქლამიდიოზისათვის - 20.0%, და სიფილისისათვის 33.0%.¹ არც ერთი სექს-მუშაკი არ აღმოჩნდა აივ დადებითი.

¹ სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების ეს მაჩვენებლები ზოგადად შეესაბამება იმ მაჩვენებლებს, რომელიც მიღებულია კომერციული სექსის გავრცელების ისეთ ადგილებში, სადაც ერთომის გამოყენება არ არის მუდმივი და სგბი-ს ეფექტური სამკურნალო დაწესებულებების ხელმისაწვდომობა შეზღუდულია (იხ. Steen Richard and Gina Dallabetta, "STI Control With Sex Workers and Presumptive Treatment Augment Efforts to Reduce Risk and Vulnerability", *Reproductive Health Matters*, 2003, Nov; 11(22): 74-90).

საშუალოდ, გამოკითხული სექს-მუშაკების ასაკი 32.1 წელია (მედიანა - 33.0 წელი). რესპონდენტთა უველაზე დიდი პროცენტული მაჩვენებელი (43.3%) 31-39 წლისა; 24.2% იყო 25-30 წლის, ხოლო 14.2% - 19-24 წლის. 40 წელს გადაცილებული სექს-მუშაკები წარმოადგენენ საკვლევი ჯგუფის 16.7%-ს. მხოლოდ ორი (1.7%) სექს-მუშაკი იყო 19 წელზე ნაკლები ასაკის.

უველა სექს-მუშაკი (100%) ცხოვრობდა ბათუმში კვლევის ჩატარების პერიოდში. ისინი იქ ცხოვრობდნენ, საშუალოდ, 12.6 წლის მანძილზე. თუმცა, მათი 18.2% ბათუმში ცხოვრობდა ერთ წელიწადზე ნაკლები დროის განმავლობაში. ეთნიკური მიკუთვნებულობის მიხედვით უმეტესობა იყო ქართველი (81.7%), მხოლოდ მცირე პროცენტული რაოდენობა იყო ან რუსი (8.3%) ან უკრაინელი (4.2%). რამდენიმე სექს-მუშაკი (4.2%) აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან იძულებით ადგილნაცვალი პირი იყო.

სექს-მუშაკები საშუალოდ 10.9 წლის განმავლობაში იღებდნენ განათლებას. მათ უმრავლესობას (70.0%) დამთავრებული აქვს საშუალო ან პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი, მათ შორის 22.5%-ს მიღებული აქვს გარკვეული საუნივერსიტეტო განათლება. მხოლოდ ერთმა სექს-მუშაკმა აღნიშნა, რომ საერთოდ არ აქვს მიღებული განათლება.

კვლევის ჩატარების დროისათვის გამოკითხულთა დიდი ნაწილი (54.2%) დაქორწინებული იყო. ერთ მესამედზე ცოტა მეტი (39.1%) იყო განქორწინებული ან მეუღლისაგან განცალკევებით ცხოვრობდა და მხოლოდ 6.7% არასოდეს ყოფილა დაქორწინებული. განქორწინებული სექს-მუშაკებიდან 61.7%-ს ჰყავს მუდმივი პარგნიორი. დაქორწინებული სექს-მუშაკების ერთ მეოთხედზე ცოტა მეტმა (26.2%) აღნიშნა, რომ მათ მეუღლესაც ჰყავდა სხვა სქესობრივი პარტნიორები.

სექს-მუშაკების უმრავლესობას (89.5%) ჰყავს ადამიანები (ბავშვები, მშობლები, ბებია-ბაბუუები), რომელთაც ისინი მატერიალურ დახმარებას უწევენ. ფინანსურად დამოკიდებული პირების საშუალო რაოდენობა არის 3.1. ასევე, ანალიზმა აჩვენა, რომ იმ სექს-მუშაკების 40.0%, რომელთაც ჰყავთ ფინანსურად დამოკიდებული პირები, განქორწინებულია ან მეუღლისაგან განცალკევებულად ცხოვრობს.

სექს-მუშაკების საშუალო ასაკი, როდესაც მათ პირველად გაწიეს სქესობრივი მომსახურება ფულის სანაცვლოდ, 30.9 წელია. უველაზე ახალგაზრდა ასაკობრივმა ჯგუფმა (<19 წელი) აღნიშნა, რომ პირველი კომერციული სქესობრივი კონტაქტი 16.5 წლის ასაკში ჰქონდათ; უფროსი ასაკობრივი ჯგუფის (>40 წელი) სექს-მუშაკებმა კი აღნიშნეს, რომ ახლახანს დაკავდნენ კომერციული სექსით (საშუალოდ 49.3 წლის ასაკში). ზოგადად, მათი კომერციულ სექსში ჩართულობის ხანგრძლივობა საშუალოდ 4.2 წელს შეადგენს. ყოველი ხუთი სექს-მუშაკიდან თითქმის ერთი (19.2%) წარსულში დაკავებული ყოფილა კომერციული სექსით სხვა ქალაქში, იმ 12.5%-ის ჩათვლით, ვინც სხვა ქვეყანაში მუშაობდა (თურქეთი). უმეტესობას (75.8%) კომერციული სექსის გარდა არ აქვს შემოსავლის სხვა წყარო. იმათვის კი, ვისაც აქვს ასეთი წყარო, ჩვეულებრივ ეს არის მიმტანად მუშაობა.

სექს-მუშაკების მიერ გაწეული მომსახურების საფასური მერყეობს 5 ლარიდან (3 აშშ დოლარი) 400 ლარამდე (220 აშშ დოლარი), რაც საშუალოდ 52 ლარს შეადგენს (29 აშშ დოლარი) თითო სქესობრივი კონტაქტისათვის. საფასურის

რაოდენობა საშუალოდ მცირდება ასაკის მატებასთან ერთად: ყველაზე ახალგაზრდა ასაკობრივი ჯგუფი საშუალოდ 60 ლარს (33 აშშ დოლარი) იღებდა, ხოლო ყველაზე უფროსი ასაკობრივი ჯგუფი კი - 40 ლარს (22 აშშ დოლარი). კვირაში კლიენტების საშუალო რაოდენობისა (6) და თითოეული კლიენტისაგან მიღებული საშუალო ანაზღაურების (52 ლარი) გათვალისწინებით, საშუალოდ სექს-მუშაკის ანაზღაურება კვირაში 312 ლარია (171 აშშ დოლარი), ხოლო თვეში კი - 1.248 ლარი (686 აშშ დოლარი). თუმცა, სექს-მუშაკებმა გარკვეული თანხა უნდა გადაუხადონ დაცვისთვის "სუტენიორს", პოლიციელს ანდა სხვა პირს, ვინც შეიძლება გადასახადი გამოსხალოს. მიუხედავად ამისა, ამ გადასახადების გადახდის შემდეგაც, სექს-მუშაკს თვეში უფრო მაღალი შემოსავალი აქვს, საქართველოში საშუალო ოჯახის შემოსავალთან (231 ლარი ანუ 127 აშშ დოლარი)² ან ოფიციალურად დადგენილ სიღატაკის ზღვართან შედარებით (107 ლარი ერთ ადამიანზე).³

მხოლოდ 11.7%-მა აღნიშნა, რომ ალკოჰოლს ყოველდღიურად მოიხმარს. სექს-მუშაკების 54.2% ალკოჰოლს იღებს უფრო იშვიათად, ვიდრე კვირაში ერთხელ ან არასოდეს. 120 სექს-მუშაკიდან მხოლოდ 6-მა (5.0%) აღნიშნა ნარკოტიკების მოხმარება. მათგან ორმა მიუთითა, რომ ნარკოტიკები მიღებული აქვს ინექციური გზით (ოპიუმი და ჰეროინი).

კითხვაზე, იყენებდნენ თუ არა კონდომს კლიენტებთან ბოლო 30 დღის მანძილზე, სექს-მუშაკების 54.2%-მა კონდომების მუდმივი გამოყენება აღნიშნა. სამდა სექს-მუშაკმა აღნიშნა, რომ არასოდეს იყენებდა კონდომს ბოლო 30 დღის მანძილზე. რესპონდენტების უმეტესობამ (86.7%) გამოიყენა კონდომი ბოლო კლიენტთან სექსობრივი კონტაქტის დროს. ეს მონაცემი ყველაზე მაღალი იყო 31-39 წლის ასაკის სექს-მუშაკებს შორის (90.4%). უმრავლესობამ (75.0%) აღნიშნა, რომ ბოლო კლიენტთან კონდომის გამოყენება მათი ინიციატივა იყო, 22.1%-მა კი მიუთითა, რომ ეს მისი და კლიენტის ერთობლივი გადაწყვეტილება იყო.

სექს-მუშაკების ნახევარზე მეტს (57.3%) ჰყავს მუდმივი კლიენტები. უფრო მეტიც, ნახევარმა (55.8%) იმათგან, ვისაც ჰყავს მუდმივი კლიენტები, აღნიშნა ასეთ კლიენტებთან კონდომის მუდმივი გამოყენება ბოლო 12 თვის მანძილზე. რესპონდენტების ორ მესამედზე მეტს (71.7%) ჰყავს მუდმივი პარტნიორი. სექს-მუშაკების მხოლოდ 12.8%-მა აღნიშნა კონდომის მუდმივი გამოყენება მუდმივ პარტნიორთან ბოლო 12 თვის მანძილზე.

შეკითხვაზე, ბოლო წლის განმავლობაში მიუღიათ თუ არა სექსუალური ან ფიზიკური შეურაცხყოფა, 13.3%-მა დადებითი პასუხი გასცა. მათგან 37.5%-მა აღნიშნა, რომ ეს ძალადობა კლიენტმა განახორციელა; შემდეგი მაღალი პროცენტული მაჩვენებელი (31.3%) მუდმივი პარტნიორის მხრიდან ძალადობაზე მოღიოდა. შვიდმა სექს-მუშაკმა აღნიშნა, რომ იყო გაუპატიურების მსხვერპლი. ხუთი სექს-მუშაკი (4.9%) იყო ტრეფიკინგის მსხვერპლი, მათგან ორი 3-5-ჯერ. გამოკითხული სექს-მუშაკების ერთი მეოთხედი (25.0%) თავისი ნებით მუშაობდა საზღვაგარეთ სექს-მუშაკად. მათი უმრავლესობა (90%) აღნიშნავს თურქეთში მუშაობას. საზღვარგარეთ მუშაობისას მიღებული საშუალო ანაზღაურება

² ოჯახების სტატუსი საქართველოში - 2004. 2002 წლის დეკემბერი. Dershem and Khoperia, Save the Children & Institute for Polling and Marketing, Tbilisi, Georgia.

³ სიღატაკის ოფიციალური ზღვარი დადგენილია მე-3 კვარტალისთვის, 2002. Georgia Economic Trends, 2002. No.3.

შეადგენს 87 ლარს ან დაახლოებით 48 აშშ დოლარს (თითქმის 40%-ით მეტს, ვიდრე ბათუმში მიღებული საშუალო ანაზღაურება). იმ სექს-მუშაკებიდან, ვინც საზღვარგარეთ არის ნამუშევარი, 12-მა (40%) აღნიშნა, რომ მათვის ხელმისაწვდომი იყო ტესტირება სგბი-სა და აივ-ზე. მათ დიდ უმრავლესობას (91.7%) ჩატარებული აქვს ტესტირება საზღვარგარეთ.

ბათუმში მომუშავე თითქმის ყველა სექს-მუშაკი ინფორმირებული იყო სექსობრივი გზით გადამდები ინფექციების (სგბი) შესახებ. თუმცა, როდესაც მათ სოხვეების ქალებისათვის დამახასიათებელი სგბი სიმპტომების დასახელება, 23.7%-მა ეს ვერ შეძლო, ხოლო 62.7%-მა კი ვერ დაასახელა მამაკაცებისათვის დამახასიათებელი სგბი სიმპტომები. ნახევარზე მეტმა (52.5%) აღნიშნა, რომ პქონდა პათოლოგიური ვაგინალური გამონადენი ბოლო 12 თვის განმავლობაში; 11.4%-ს პქონდა ვაგინალური წყლული/წვა. სულ მცირე ერთი სგბი-ს მქონე 77 სექს-მუშაკიდან 65-ს (ანუ 84.4%) მიღებული პქონდა გარკვეული მკურნალობა, ხოლო 44.6%-მა მიმართა თვითმკურნალობას.

პრაქტიკულად ყველა გამოკითხულ სექს-მუშაკს გაუგია აივ-ისა და შიდსის შესახებ. უმრავლესობამ (85.0%) აღნიშნა, რომ მათვის შესაძლებელია აივ-ზე კონფიდენციალური ტესტირების ჩატარება. მათგან ნახევარზე მეტს (53.3%) ჩატარებული აქვს აივ-ტესტირება, და უმრავლესობამ (92.2%) მიიღო ტესტირების შედეგი. კითხვაზე, ნებაყოფლობითი იყო თუ არა აივ-ტესტირება, 90.6%-მა უპასუხა, რომ ტესტირება ნებაყოფლობითი იყო. რესპონდენტების უმრავლესობას (70.3%) აივ-ზე ტესტირება ბოლო ერთი წლის განმავლობაში პქონდა ჩატარებული.

დასპუნები

ქცევის ზედამხედველობის და ბიომარკერული მაჩვენებლების კვლევა ჩატარდა ფედერაცია „გადავარჩინოთ ბავშვები“-ს SHIP პროექტის ფარგლებში, რომელიც დაფინანსებულია USAID-ის მიერ. იგი გამიზნული იყო ზუსტი და განმეორებადი მეთოდოლოგიის შექმნისთვის, რომელიც სექს-მუშაკებზე მაღალი სარისხის მონაცემების მიღების საშუალებას მოგვცემდა. ეს მონაცემები შეიძლება გამოყენებული იყოს ადგომატირებისათვის შიდსის კონტროლის ეროვნული პროგრამისა და ასევე სხვა პროგრამების მიერ.

კვლევა ჩატარდა მნიშვნელოვანი მონაცემების და ინფორმაციის მოსაპოვებლად, კერძოდ:

- სგბი/აივ/შიდსის პრევენციული პროგრამების წარმატებულობის მონიტორინგისათვის გაეროს შიდსის პროგრამის მიერ შემუშავებულ ინდიკატორებზე ბაზისური ინფორმაციის მისაღებად;
- შესაძლებელი გამხდარიყო აივ/შიდსის პრევენციის ახალი, ეფექტური სტრატეგიების შემუშავება და საჭირო ცვლილებები ყოფილიყო გათვალისწინებული არსებულ პრევენციულ პროგრამებში;
- დამატებითი ინფორმაციის მისაღებად სხვა თვითმოწიფი შეფასებების შეგვებისათვის იმ სარისე ქცევების განსაზღვრის მიზნით, რომლებისკენაც მიმართული უნდა იყოს პრევენციული დონისძიებები.

გარდა ამისა, კვლევის ფარგლებში სხვა მრავალი პოზიტიური შედეგი იქნა მიღებული. კვლევაში გამოყენებული შერჩევის მეთოდი საჭიროებდა „მეფინგი“-ს ჩატარებას ბათუმში დაწესებულებებში მომუშავე სექს-მუშაკების ყველა თავშეერის ადგილის დადგენის მიზნით. „მეფინგი“-ს შედეგად „თანადგომამ“ აღმოჩინა ახალი ადგილები გასვლითი სამუშაოებისათვის. უფრო მეტიც, მონაწილეები საგმაოდ მიმღებლები იყვნენ სგგი-ზე სკრინინგის ჩატარების და მკურნალობის მიმართ, რაც იმის მაჩვენებელია, რომ სექს-მუშაკებს გარკვეულწილად გაცნობიერებული აქვთ სგგი-სთან დაკაგშირებული რისკი. ასევე, კვლევის შედეგად გაიზარდა სექს-მუშაკების ინფორმირებულობა არასამთავრობო ორგანიზაციების მომსახურების და "ჯანმრთელობის კაბინეტის" ანონიმური და უფასო მომსახურების შესახებ.

კვლევის მეორე დადებითი შედეგი იყო ის, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებმა და სახელმწიფო კვლევითმა ინსტიტუტებმა დაამყარეს ახალი ურთიერთობები, რაც მომავალში უფრო ძლიერი და სინერგიული დაგეგმვის საშუალებას იძლევა. დასასრულ, ამ კვლევაში ჩართულმა მხარეებმა კარგად გაიცნეს თანამედროვე ეპიდზედამხედველობის მეთოდოლოგიები და გააუმჯობესეს მონაცემთა მოპოვებისათვის და ანალიზისათვის საჭირო უნარ-ჩვევები.

ძირითადი მიგნებები:

სექს-მუშაკების უმრავლესობის (75.8%) თქმით, კომერციული სექსი მათი შემოსავლის ერთადერთი წყაროა. ასევე მაღალი პროცენტული მაჩვენებელია (89.5%) იმ სექს-მუშაკებისა, რომლებმაც აღნიშნეს, რომ პყავთ მათზე ფინანსურად დამოკიდებული ადამიანები. სექს-მუშაკების მაღალი პროცენტული მაჩვენებელი (86.7%) აღნიშნავს, რომ მათ გამოიყენეს კონდომი ბოლო ფასიან კლიენტთან, ხოლო რესპონდენტების 54.2%-მა განაცხადა, რომ უკანასკნელი ერთი თვის განმავლობაში ფასიან კლიენტებთან მუდმივად იყენებდა კონდომს. ეს მონაცემები შეესაბამება სექს-მუშაკებთან სექსობრივი კავშირისას ნარკოტიკების ინგრიური გზით მომხმარებლების მიერ კონდომის გამოყენების მაღალ მაჩვენებელს (იმ ნარკოტიკების ინგრიური მომხმარებლების 72.3%-მა, ვინც აღნიშნა სექსობრივი კონტაქტი სექს-მუშაკთან, გამოიყენა კონდომი ბოლო სექსობრივი კავშირის დროს). მიღებული მონაცემები ასევე გვიჩვენებს, რომ სექს-მუშაკებში აღინიშნება კონდომის გამოყენების მაღალი მაჩვენებლები მუდმივ კლიენტთან (84.2% ბოლო სექსობრივი კონტაქტისას და 55.8% - მუდმივი გამოყენება ბოლო ერთი წლის მანძილზე). სექს-მუშაკების ფასიან და მუდმივ კლიენტებთან კონდომის გამოყენების მაღალი პროცენტული მაჩვენებელი კონტარასტულია მათ მიერ მუდმივ პარგნიორებთან კონდომის გამოყენების დაბალი პროცენტული მაჩვენებლებისა (შესაბამისად, 18.6% ბოლო სექსობრივი კავშირისას და 12.8% ბოლო თორმეტი თვის განმავლობაში).

სექს-მუშაკების დიდ უმრავლესობას (85.8%) აქვს წარმოდგენა ტრეფიკინგის შესახებ, ხოლო ხუთმა კი (4.9%) აღნიშნა, რომ ყოფილა ტრეფიკინგის მსხვერპლი. სექს-მუშაკების 25 პროცენტს უმუშავია საზღვარგარეთ, ძირითადად თურქეთში. იმ სექს-მუშაკების ნახევარმა, რომლებიც ჩართული იყვნენ კომერციულ სექსში საზღვარგარეთ, აღნიშნა კონდომის მუდმივი გამოყენება, ხოლო 13.3%-მა თქვა, რომ არასოდეს იყენებდა კონდომს.

ფასიან კლიენტებთან კონდომის გამოყენების მაღალი პროცენტული მაჩვენებელი წინააღმდეგობაში მოდის გამოკლეულ ჯგუფში სგგი-ს შემთხვევების მაღალ მაჩვენებელთან. ეს შესაძლებელია უგრეთ წოდებული “სოციალური სასურველობის გადახრის” გამო მოხდა, რაც ნიშნავს, რომ რესპონდენტები ხანდახან ისეთ პასუხებს იძლევიან, რომლებიც სოციალურად სასურველია და არ შეესაბამება სიმართლეს. სგგი-ის მაღალი პრევალენტობის მეორე შესაძლებელი მიზეზი შეიძლება დაკავშირებული იყოს სექს-მუშაკების მუდმივ პარტნიორებთან, ვისთანაც ისინი კონდომს იშვიათად იყენებენ. უფრო მეტიც, მონაცემებიდან ჩანს, რომ საზღვარგარეთ მუშაობისას სექს-მუშაკები იშვიათად იყენებენ კონდომს. დასასრულ, სგგი-ის მაღალი პრევალენტობა შეიძლება დაკავშირებული იყოს სგგი-ს უფატური მკურნალობის დაწესებულებების დაბალ ხელმისაწვდომობასთან. უნაკასენელი ერთი წლის განმავლობაში სექს-მუშაკების 38.5%-მა სგგი-სთან დაკავშირებული სიმპტომების მკურნალობისათვის მიმართა სახელმწიფო კლინიკებსა და საავადმყოფოებს, 44.6%-მა მიმართა თვითმკურნალობას და 32.3%-მა სამკურნალო დანიშნულება აფთიაქში მიიღო. რესპონდენტების მხოლოდ 10.8%-მა მიმართა კერძო კლინიკებსა თუ საავადმყოფოებს.

სექს-მუშაკებმა იციან აივ/შიდსის ტესტირების დაწესებულებების არსებობის შესახებ და მათგან ნახევარზე მეტს ჩატარებული აქვს აივ-ტესტირება. დიდმა უმრავლესობამ (92.2%) შეიტყო ტესტირების პასუხები. 120 გამოკითხული სექს-მუშაკიდან მხოლოდ ორმა (1.7%) აღნიშნა ნარკოტიკების ინექციური გზით გამოყენების ფაქტი.

ინდივიდუალური ქცევის შეცვლა

თოქმის ყველა გამოკვლეულმა სექს-მუშაკმა განაცხადა, რომ კონდომის ხელმისაწვდომობა მათვის პრობლემა არ არის. თუმცა, რამდენიმე ფაქტორი ართულებს კონდომის გამოყენებას, როგორიცაა კლიენტების რეზისტენტობა ან ისეთი კლიენტების წინააღმდეგობა ან მუქარა, რომლებიც უარს ამბობენ კონდომის გამოყენებაზე. ასეთი მუქარა წარმოშობს შიშს, შიში კი ამცირებს კონდომის გამოყენების თაობაზე მოლაპარაკების სურვილს და შესაძლებლობას. ამდენად, არსებითია კონდომის პოპულარიზაციისას კლიენტების, როგორც მოლაპარაკებზე დამყარებული სქესობრივი ურთიერთობების ნაწილის, მოცვა. კონდომის გამოყენება მუდმივ პარტნიორებთან და მუდმივ კლიენტებთან უფრო რთულია ნდობასა და ინტიმურობასთან დაკავშირებული საკითხების გამო. მიუხედავად ამისა, სექს-მუშაკებში სგგი-ის მაღალი მაჩვენებლებიდან გამომდინარე, ეს პიროვნებები შეიძლება მაღალი რისკის მქონე პარტნიორები იყვნენ. მუდმივ და რეგულარულ პარტნიორებთან დაკავშირება რთულ ამოცანად რჩება. არ არის ცნობილი, თუ რამდენად სტაბილური და მყარია ასეთი ურთიერთობები. აუცილებელია სექს-მუშაკების ასეთ პარტნიორებთან დაკავშირება და სათანადო ღონისძიებების დაგენერაცია.

გარდა ამისა, რადგანაც აჭარის რეგიონი თურქეთთან სახელმწიფო საზღვარს წარმოადგენს და ბათუმი საპორტო ქალაქია, აუცილებელია ამ რეგიონზე მორგებული ინტერვენციების დაგეგმვა ტრეფიკინგის პრობლემასთან დაკავშირებით და უსაფრთხო სქესობრივი ურთიერთობების თემაზე განათლების წინ წამოწევა და ხელშეწყობა სექს-მუშაკებს შორის.

მომსახურება: სგბი-ს სამედიცინო დაწესებულებები და აივ-ზე ნებაყოფლობითი კონსულტირება და ტესტირება

არსებობს ნათელი ეპიდემიოლოგიური და ბიოლოგიური მტკიცებულება იმისა, რომ სგბი სელს უწყობს აივ-ის გავრცელებას. ამიტომ სგბი-ის დროული, ეფექტური მტკიცებულება აივ-ის პრევენციის საკანონო სტრატეგია გახდა, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ კვლევაში სექს-მუშაკებს შორის სგბი-ის მაღალი პრევალენტობა დადგინდა. სგბი-ის მტკიცებულების მაღალ ხარისხს არა მარტო შეუძლია ხელი შეუწყოს უშუალოდ ჯანმრთელობის გაუმჯობესებას, არამედ გააჩნია პოტენციალი, მნიშვნელოვნად შეამციროს აივ-ის მოსალოდნელი გავრცელება. ამას გარდა, მაღალი ხარისხის სგბი კლინიკების არსებობამ შეიძლება, გავლენა მოახდინოს პრევალენტობის დონეზე ზოგად მოსახლეობაში. ამიტომ აუცილებელია, რომ ასეთი დაწესებულებები ხელმისაწვდომი გახდეს სექს-მუშაკებისთვის.

სექს-მუშაკები აღნიშნავენ, რომ ხშირად არ ენდობიან ჯანმრთელობის სპეციალიზირებულ დაწესებულებებს იმის გამო, რომ ისინი თვლიან, რომ ასეთი დაწესებულებები ძვირია, ან მათ ზედმეტ თანხებს მოსთხოვენ.⁴ ამასთან ერთად, ისინი არ ენდობიან სახელმწიფო სამედიცინო დაწესებულებებს იმის გამო, რომ, მათი წარმოდგენით, ასეთ დაწესებულებებში ყოველთვის ზუსტ დიაგნოზს არ იძლევიან. სახელმწიფო/საჯარო დაწესებულებების და მათზე წარმოდგენის გაუმჯობესება მნიშვნელოვანი კომპონენტი იქნება სგბი-ის მტკიცებულების გაუმჯობესების მთლიან სტრატეგიაში. მნიშვნელოვანია ასევე რეპროდუქციული ჯანმრთელობის სხვა ისეთი საჭიროებების ჩამოყალიბება და მათზე ყურადღების გამახვილება, როგორიცაა, მაგალითად, ოჯახის დაგეგმვა.

საკუთარი აივ-სტრატეგიის ცოდნამ შეიძლება ძლიერი გავლენა იქნიოს ადამიანის ქცევაზე. ამ კვლევაში მონაწილე სექს-მუშაკების დაახლოებით ნახევარმა განაცხადა, რომ აქვთ გავლილი ტესტირება. აივ-ზე ნებაყოფლობითი კონსულტირების და ტესტირების საშუალებებისა და მათი ხელმისაწვდომობის უწყვეტი ხელშეწყობა პრიორიტეტულ მიმართულებად უნდა დარჩეს. ეს, ალბათ, ყველაზე უფრო ხელსაყრელია ისეთ დაწესებულებებში, სადაც სხვა სქესობრივი ჯანმრთელობის სამსახურები არსებობს.

სოციალურ ქსელთან დაკავშირებული ჩარევა

კომერციული სექსის არაფორმალურ ეთნოგრაფიაზე დაყრდნობით, დაწესებულებებში მომუშავე სექს-მუშაკების გარდა ბათუმში არსებობენ ასევე მობილური ტელეფონებით მომუშავე სექს-მუშაკებიც (ამ კვლევაში გამოკითხული იყვნენ მხოლოდ დაწესებულებებში მომუშავე სექს-მუშაკები). სექს-მუშაკებთან წარმატებული პრევენციული მუშაობა დამოკიდებულია იმ ადამიანების ფართო სპექტრის ჩართვაზე, რომლებიც პირდაპირი ან არაპირდაპირი გზებით ახდენენ ზემოქმედებას კომერციულ სექსზე. ეს გულისხმობს როგორც თვითონ სექს-მუშაკებსა და მათ კლიენტებს, ასევე მათ, ვინც აკონტროლებს სექს-მუშაკებთან დაკავშირებას, როგორებიც არიან ბორდელების მეპატრონებები, სასტუმროს მენეჯერები, "სუტენიორები".

⁴ პარტნიორების მიერ განსაზღვრული ხარისხი: სგბი/აივ/შიდსის სამედიცინო დაწესებულებების ხარისხი, განსაზღვრული სექს-მუშაკებისა და ჯანდაცვის მუშაკების მიერ – თბილისი, 2004. "გადაფარჩინოთ ბავშვები", თბილისი.

არასამთავრობო ორგანიზაციების სოციალურ მუშაკებთან და ჯანდაცვის მუშაკებთან ერთად, სგგი-ზე და აივ/შიდსზე ინფორმაციის კიდევ ერთ წეაროს თანასწორთა განმანათლებლები წარმოადგენენ (თვითონ სექს-მუშაკები, რომლებიც ჩართულები არიან თანასწორებისთვის ინფორმაციის მიწოდების პროცესში), რაც სამიზნე პოპულაციების მოცვის ეფექტურ სტრატეგიას წარმოადგენს.

სარისკო გარემო ფაქტორების შემცირება

კომერციული სექსის სფეროში სექსობრივ ურთიერთობებთან დაკავშირებული რისკის შესამცირებლად აუცილებელია მრავალმხრივი სტრატეგიების შემუშავება. ეს მოიცავს ინტერვენციებს როგორც ინდივიდუალური ქცევის შესაცვლელად, როგორც ეს ზემოთ არის აღნიშნული, ასევე გარემოს რისკის ფაქტორების კონტროლს სტრუქტურულ დონეზე⁵ გარემოზე ზემოქმედების ერთ-ერთი გზაა პრევენციული და სამკურნალო სამსახურებისთვის სირთულეების შემცირება – ასეთი სამსახურები ხელმისაწვდომი, მოსახერხებელი, მომხმარებლის მიმართ კეთილგანწყობილი და კონფიდენციალური უნდა იყოს. სანამ კომერციული სექსი საქართველოში არც ლეგალურია და არც არალეგალური, პოლიცია განაგრძობს სექს-მუშაკების დაკავებას იძულებითი ტესტირებისთვის. ასეთი იძულებითი ტესტირებისაგან თავის დაღწევა სექს-მუშაკებს შეუძლიათ ქრთამის მიცემის ან უფასო სექსობრივი მომსახურების გზით. ასევე ამ პოპულაციაში ხშირია ძალადობის ფაქტებიც. საჭიროა, ასევე, განხილული იყოს სათანადო დონისძიებების გატარების საშუალებები ძალადობის პრევენციის და იურიდიული უფლებების სფეროში.

ღ ნ I

1. წინამდებარე კვლევაში სექს-მუშაკებს აღმოაჩნდათ მაღალი ცოდნა აივ/შიდსთან დაკავშირებით, კონდომის გამოყენების მაღალი მაჩვენებელი ფასიან კლიენტებთან, დაბალი მაჩვენებელი რეგულარულ და მუდმივ პარტნიორებთან, განკურნებადი სგგი-ის მაღალი დონე, მკურნალობისათვის ხშირი მიმართვადობა არაეფექტურ სამსახურებში (თვითმკურნალობა და აფოიაქები) და სარისკო ქცევა საზღვარგარეთ მუშაობისას. პრევენციული დონისძიებები მიმართული უნდა იყოს პოტენციურად სარისკო უკელა ქცევისაკენ.
2. ქცევის შეცვლის კომუნიკაციური აქტივობები მიმართული უნდა იყოს სექს-მუშაკებზე და მათ კლიენტებზე, რადგანაც კონდომის გამოყენება არ უნდა წარმოადგენდეს მხოლოდ სექს-მუშაკების პასუხისმგებლობას. სექს-მუშაკების ჩართვა სათანადო შეტყობინებების შემუშავების პროცესში და ამ შეტყობინებების გავრცელება მათ ქსელში გაზრდის ეფექტურობას. უნდა შემუშავდეს კლიენტებზე გამიზნული სტრატეგია, სავარაუდო, მოლაპარაკებებზე დამყარებული სექსობრივი ურთიერთობების საკითხზე მუშაობის გზით.

⁵ Steen Richard and Gina Dallabetta, "STI Control With Sex Workers and Presumptive Treatment Augment Efforts to Reduce Risk and Vulnerability", *Reproductive Health Matters*, 2003, Nov; 11(22): 74-90.

3. უნდა გაუმჯობესდეს კომერციული სექსის მუშაკებზე და მათ კლიენტებზე ორიენტირებული სექსობრივი ჯანმრთელობის სამედიცინო სამსახურები, უნდა მოხდეს მათი პოპულარიზაცია საზოგადოებაში. სგვი დიაგნოსტიკისა და მკურნალობის გარდა, ასეთ სამსახურებს პრევენციული კონსულტირების, აივ-ზე კონსულტირების და ტესტირების და სექსობრივ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სხვა სახის საჭირო მომსახურების გაწვის საშუალებაც უნდა გააჩნდეთ. მომსახურების ღირებულება უნდა განიხილებოდეს საზოგადოებრივი ჯანდაცვის მიერ გაწეული დახმარების კონტაქტში. ასეთი სახის მომსახურება შეიძლება გაფართოვდეს სექს-მუშაკების რეგულარული პარტნიორების მოცვის მიზნით, რაც ამ ჯგუფთან მუშაობის საშუალებას მოგვცემს.
4. რადგანაც სექს-მუშაკებმა აღნიშნეს, რომ ტელევიზია მათთვის წარმოადგენს აივ/შიდსზე ინფორმაციის მიღების ძირითად წყაროს, სატელევიზიო საინფორმაციო კამპანიები უნდა მიეძღვნას ზოგადი მოსახლეობისთვის მისაღებ ზოგადსაგანმანათლებლო საკითხებს. სექს-მუშაკებისათვის, მათი კლიენტებისა და მათი მუდმივი პარტნიორებისათვის სპეციფიკური, ნათელი პრევენციული შეტყობინებები და მასალები აივ/შიდსზე გაცილებით უკეთესად ვრცელდება სოციალურ მუშაკებთან და თანასწორთა განმანათლებლებთან ინტერპერსონალური ურთიერთობის დონეზე, ვიდრე მასმედიის საშუალებით. ინტერვენციები მიზნად უნდა ისახავდეს ცოდნასა და დამოკიდებულებებში არსებული იმ ხარვეზებისა და ნაკლოვანებების შევსებას, რომლებიც გამოვლინდა წინამდებარე კვლევის შედეგად. ამ მიზნით უნდა იქნას შემუშავებული ახალი, დამატებითი სტრატეგიები.
5. ძალისხმევა უნდა იქნეს მიმართული სექს-მუშაკების სხვა ჯგუფებზე, მაგალითად, ქუჩებში, დაწესებულებებში მომუშავე და მობილურით მომუშავე სექს-მუშაკებისთვის პრევენციული მომსახურების გაფართოების მიზნით. ეს შეიძლება მოიცავდეს „მეპატრონებთან“ მუშაობას, რათა შესაძლებელი გახდეს ასეთ დაწესებულებებში შეღწევა. ამასთან ერთად, მიზნად უნდა დავისახოთ იმ განსაკუთრებით წელად მისაწვდომი პოპულაციების მოცვა, როგორებიც არიან მამაკაცი ტრანსვესტიტები და ქუჩის ბავშვები, რომლებიც შეიძლება ჩათრეული იქნან კომერციულ სექსში. ამ საქმიანობაში აუცილებლად უნდა ჩაერთონ ის ჯგუფები, რომლებიც მუშაობენ ქუჩის ბავშვებთან ასეთ აქტივობებში არასრულწლოვნების ჩათრევის თავიდან ასაცილებლად და სათანადო დაწესებულებებში მათი მიმართვის მიზნით.
6. უნდა გაგრძელდეს აივ-ზე ნებაყოფლობითი ტესტირება და კონსულტირება, სათანადო პრე- და პოსტ-ტესტ კონსულტირებით. ტესტირებაში შეიძლება სელი შეუწყოს რისკის შემცირებაზე გამიზნულ კონსულტირებას. დღესდღეობით აჭარაში მოქმედი ტესტირების პროცედურა მოითხოვს საქმაოდ დიდ დორს სისხლის აღებიდან პასუხის მიღებამდე. სწრაფი ტესტირების პროცედურის პილოტურმა შემოწმებაში ვალიდობაზე და კლიენტების მიმღებლობაში შეიძლება გაზარდოს იმ ინდივიდების რიცხვი, ვინც იტარებს ტესტირებას აივ-ზე. VCT მომსახურება ხელმისაწვდომი უნდა გახდეს იმ დაწესებულებებში, რომლებიც სექს-მუშაკებს აწვდიან სხვა პრევენციულ და სექსობრივ ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ მომსახურებას.

7. სექს-მუშაკებზე გამიზნული აქტივობები უნდა გაფართოვდეს გეოგრაფიული კუთხით. უნდა მოხდეს მაღალი რისკის ახალი აღილების დადგენა და პრევენციული ღონისძიებების გატარება. ტიპიური აღილებია ქალაქის ტერიტორია, საპორტო და კომერციული ტრანზიტული ტერიტორიები, სასაზღვრო ტერიტორიები, და სამხედრო დასახლებები, სადაც მრავალი სამხედრო მოსამსახურე ოჯახის გარეშე ცხოვრობს.
8. ახალგაზრდებს შორის რამდენიმე ხნის წინ ჩატარებულმა კვლევამ გვაჩვენა, რომ 15-17 წლის ვაჟების 84%-ისთვის მისაღები იყო ქორწინებამდე სექსობრივი ცხოვრების დაწყება სექს-მუშაკებთან.⁶ უფრო მეტიც, 74% აღნიშნავს, რომ მათ უკვე პქნიათ სექსობრივი კავშირი სექს-მუშაკთან. ამ აღმოჩენებიდან გამომდინარე, ორგანიზაციებმა, რომლებიც ახალგაზრდობასთან მუშაობენ, ხელი უნდა შეუწყონ ჯანმრთელი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, რითიც ახალგაზრდობა, განსაკუთრებით კი მამრობითი სექსის, ყურადღებას გააძინებს ჯანმრთელი სექსობრივი ცხოვრების არჩევანზე და გააცნობიერებს რისკს, რომელიც მოჰყვება სექს-მუშაკთან დაუცველ სექსობრივ ურთიერთობას. გრძელვადიანი სტრატეგია მიმართული უნდა იყოს მამაკაცის და ქალის სექსუალობის და ასევე ალკოჰოლისა და ნარკოტიკების გამოყენების ნორმების ცვლილებებზე.
9. სექს-მუშაკების ტრეფიკინგის პრევენციისათვის აუცილებელია სპეციფიკური სტრატეგიების შემუშავება. გარდა ამისა, უნდა შეიქმნას ტრეფიკინგის მსხვერპლთა სამედიცინო და ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის სპეციალური სამსახურები. პრობლემის არსიდან გამომდინარე, საჭიროა ერთიანი ძალისხმევა, რათა მოხდეს იმ აღილობრივი, რეგიონული და საერთაშორისო ორგანიზაციების დაკავშირება, რომლებიც მუშაობენ ჯანდაცვისა და ადამიანის უფლებების სფეროებში
10. არაიძულებითი, ანონიმური, ეთიკური და სისტემატური დაკვირვება სექს-მუშაკებზე (და მაღალი რისკის სხვა ჯგუფებზე), მათ როგორც ქცევით, ასევე შერჩეულ ბიოლოგიურ მარკერებზე, უნდა განხორციელდეს მთელ საქართველოში და ჩატარდეს განმეორებით, რათა მოხდეს სგგი/აივ-ის და სარისკო ქცევების ტენდენციების მონიტორინგი. ეს მოგვცემს არსებით მონაცემებს, რომლებიც საჭიროა ინტერვენციების შესამუშავებლად და მათი ეფექტის შესაფასებლად.
11. საჭიროა მოსახლეობის ფართო ფენებზე გათვლილი პრევენციული მუშაობის წარმოება. ეს სექს-მუშაკების კლიენტების მოცვის და მათი ინფორმირებულობის გაზრდის კიდევ ერთ დამატებით გზას წარმოადგენს.

⁶ "რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევა მოზარდებში", გაერთს მოსახლეობის ფონდი, 2002, თბილისი, საქართველო.

ცხრილი 1: ბათუმში სექს-მუშაკებისათვის დამახასიათებელი ინდიკატორების მოკლე მიმოხილვა

ინდიკატორები	2004 BSS-1 ქალი სექს-მუშაკები (n=120)
ბიომარკერები	
<i>Neisseria gonorrhoea</i>	14.2% (17/120)
<i>Chlamydia Trachomatis</i>	20.0% (24/120)
რეაქტიული სივილის სეროლოგია (RPR, TPHA ELISA-ს დადასტურებით)	33.0% (38/120)
პროცენტი სგბი-ის გარეშე	47.5% (57)
პროცენტი 1 სგბი-ით	50.0% (60)
პროცენტი 2 ან მეტი სგბი-ით	13.3% (16)
აივ (ELISA Western Blot-ის დადასტურებით)	0.0% (0/120)
დემოგრაფიული მახასიათებლები	
ასაკის მედიანა	33 წელი
განათლების დონე	70.0% (საშუალო)
ოჯახური მდგრადირობა	54.2% (დაქორწინ.)
შემოსავლის ერთადერთი წეარო	75.8% (91/120)
ჰემოგლიცერინის დამოკიდებული ადამიანები	85.0% (102/120)
ფინანსურად დამოკიდებული ადამიანების საშუალო რაოდენობა ასეთი ადამიანების მეოდე სექს-მუშაკებისათვის	3.6% (102)
ალკოჰოლის და ნარკოტიკების მოხმარება	
ალკოჰოლს მოიხმარს სულ მცირე კვირაში ერთხელ	23.3% (28/120)
ოდესტე მოუდია "აბები"	1.6% (2/120)
ოდესტე გამოყენებია ინალინები	0.8% (1/120)
ოდესტე მოუხმარია ნარკოტიკები ინკლიური გზით	1.6% (2/120)
კვლევის პოპულაციის მახასიათებლები	
ასაკის მედიანა პირველი სექსობრივი კონტაქტის დროს	17.0 წ.
ასაკის მედიანა, როდესაც პირველი გასწია სექსობრივი მომსახურება უფლის სანაცვლოდ	28.0 წ.
სექს-მუშაკად მუშაობის წლების საშუალო მაჩვენებელი	4.2 წ. წლების დიაპაზონი(<1-19-მდე)
სარისკო სექსობრივი ქცევა	
ჰემოდომის გამოყენება ბოლო სექსობრივი კავშირის დროს	71.7% (86/120)
უფასო/რეგულარულ პარტნიორთან	18.6% (16/86)
ჰენდომის მუდმივი გამოყენება უფასო/რეგულარულ პარტნიორთან ბოლო ერთი თვის განმავლობაში	12.8% (11/86)
ჰენდომის გამოყენება ბოლო კლიენტთან	86.7% (104/120)
ჰენდომის მუდმივი გამოყენება კლიენტებთან ბოლო ერთი თვის განმავლობაში	54.2% (62/120)
განუცდია მუქარა ან ფიზიკური ძალადობა ბოლო წლის განმავლობაში	13.3% (16/120)
სექსობრივი კონტაქტი საკუთარი ნების გარეშე	5.8% (7/120)
ჰერნია სექსობრივი კონტაქტი საკუთარი ნების გარეშე და განუცდია მუქარა ან ფიზიკური ძალადობა ბოლო წლის განმავლობაში	2.5% (3/120)
კონდომი	
ადგილი, სადაც შოულობს კონდომებს	91.6% (აფთიაქი)
5 წთ-ზე ნაკლები სეირდება კონდომის შოგნისათვის	69.8%
თუ კონდომი არ გამოიყენებოდა ბოლო კლიენტთან, რატომ?	37.5% (არ მიფიქრია ამაზე)
ცოდნა სგბი/აივ-ის შესახებ, გამოცდილება და პრაქტიკული ჩვევები	
არ იცის არც ერთი სგბი სიმპტომი ქალებში	23.8% (28/118)
ჰერნია პათოლოგიური ფაგინალური გამონადენი ბოლო 12 თვის	52.5% (63/120)
განმავლობაში	11.4% (14/120)
ჰერნია ფაგინალური წყლული/წვა ბოლო 12 თვის განმავლობაში	
ადგილები, სადაც მიმართა მკურნალობისათვის:	
სახელმწიფო კლინიკა/საავადმყოფო	38.5% (25/65)

დაწესებულებებში მომუშავეები სკოლ-მუზაკების მახასიათებლები, მაგალით რისკის ქვეყნის, სკოლებრივი გზით გადამდები
ინფექციების/აიგ/შიდების შესახებ ცოდნა და ამ ინფექციების გავრცელება, ბათუმი, საქართველო - 2004

ინდიკატორები		2004 BSS-1 ქალი სექს-მუშაკები (n=120)
თვითმკურნალობა ცოდნა აიგ/შიდებზე იცნობს აიგ ინფორმირებულ ან შიდსით დაავადებულ ადამიანს მიღებული აქვს ინფორმაცია აიგ/შიდებზე	44.6% (29/65) 100% (120) 2.5% (3/120) 100.0% (120)	
აიგ/შიდებზე ინფორმაციის მიღების ძირითადი წყაროები:		
ტელევიზია სოციალური მუშაკები	73.7% (87/118) 44.9% (53/118)	
სწორად დასახელა აიგ-ის გადაცემის ექვნივე გზა	44.9% (53/118)	
ნებაყოფლობითი კონსულტირება და ტესტირება		
ნებაყოფლობითი ტესტირება აიგ-ზე სელმისაწვდომია ჩატარებული აქვს ტესტირება აიგ-ზე მიიღო აიგ-ანალიზის პასუხი	85.0% (102/120) 53.3% (64/120) 92.2 % (59/64)	

შესავალი

2002 წელს ჩატარებული მოსახლეობის აღწერის მონაცემების მიხედვით, საქართველოს მოსახლეობა დაახლოებით 4.4 მილიონს შეადგენს და განთავსებულია 70,000 პპ.კმ ტერიტორიაზე. საქართველოს ესაზღვრება შავი ზღვა, რუსეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი და თურქეთი. კომუნისტური რეჟიმისა და ეკონომიკის დაშლასთან ერთად ჯანდაცვის სოციალური უზრუნველყოფის სტრუქტურები სულ უფრო მეტად არაქმედით ხდებოდა, ამასთან პარალელურად საქართველოს მოსახლეობის ჯანმრთელობისათვის არსებული ზოგადი რისკი მატულობდა. საზღვრების დაუცველობამ, რაც, თავის მხრივ, მთელ რეგიონში ნარკოტიკების თავისუფალი მოძრაობის საშუალებას იძლეოდა, და ქართველებისთვის ტრადიციული სექსუალური ტაბუების ლიბერალიზაციამ გამოიწვია მაღალი სარისკო ქცევების ზრდა სექს-მუშავებში და ნარკოტიკების ინექციური გზით მომხმარებლებში. ამის შედეგია სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების (სგგი), მათ შორის აივის, პროგრესირებადი გავრცელება.


აივის შემთხვევების რაოდენობის ზრდა ნელი ტემპით მიმდინარეობდა და დღესდღეობით ასეთი შემთხვევები კონცენტრირებულია ნარკოტიკების ინექციური გზით მომხმარებლებს შორის. ნარკოტიკული ნივთიერებების ხელმისაწვდომობამ, ნარკოტიკების მოთხოვნილებაზე მრავალი ფაქტორის ზემოქმედებასთან ერთად, და ამავდროულად მოთხოვნილების შემცირებაზე მიმართული საგანმანათლებლო დონისძიებების არარსებობამ მოსალოდნელია, ხელი შეუწყოს ნარკოტიკების ინექციური გზით მომხმარების უწყვეტ ზრდას ახლო მომავალში. გარდა ამისა, სგგი-ის გავრცელების თანდათანობითი ზრდა, განსაკუთრებით ახალგაზრდებში, საგანგაშოა, რადგანაც სგგი აივის გადაცემის ხელშემწყობი ფაქტორია და ამასთან ერთად, ორივე სახის ინფექცია ერთსა და იმავე სარისკო ქცევებს მოჰყვება შედეგად. გარდა იმისა, რომ სგგი აივის გადაცემას უწყობს ხელს, ეს ინფექციები ასევე იწვევს რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ სერიოზულ გართულებებს.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (ჯანმო) ექსპერტები აღნიშნავენ, რომ იმ შემთხვევაში, თუ სათანადო პრევენციული ზომები არ იქნება მიღებული, საქართველო შესაძლებელია, აივ/შიდნის ეპიდემიის აფეთქების ზღვარზე აღმოჩნდეს. დღესდღეობით, გაეროს შიდნის პროგრამის კლასიფიკაციის მიხედვით, საქართველო აივის დაბალი პრევალენტობის ქვეყნების კატეგორიას მიეკუთვნება, რადგანაც აივის გავრცელების პროცენტული მაჩვენებელი საქართველოში 5%-ზე ნაკლებია ყველა ჯგუფში. პირველად აივის დიაგნოზი საქართველოში 1989 წელს დაფიქსირდა. 2005 წლის 1 ივლისის მონაცემებით, მთლიანობაში 740 აივის შემთხვევა იყო რეგისტრირებული; აქედან 619 მამაკაცია და 121 – ქალი, 21-დან 40 წლამდე ასაკის ფარგლებში. 740 დაფიქსირებული შემთხვევიდან 107 (14.5%) აჭარაშია რეგისტრირებული.⁷ აჭარაში აივ ინფექციის მქონე ადამიანების საგარაუდო რაოდენობა არის 500-600. თუმცა, რადგანაც სგგი/აივის ეპიდზედამსედველობის სისტემა საკმაოდ სუსტია, მოსალოდნელია, რომ ის რეალურზე უფრო დაბალ მაჩვენებლებს იძლევა.

⁷ “2004 წლის წლიური ანგარიში”, გამოუქვენებელი, ინფექციური პათოლოგიას, შიდნისა და კლინიკური მუნიციპალური სამუნიკარო/პრაქტიკული ცენტრი.

1996 წლიდან აივ-ის შემთხვევების რაოდენობა იზრდებოდა (იხილეთ დიაგრამა 1). უფრო მეტიც, ამ ბოლო დროს სგბი-ს გავრცელების მატების ამსახავი მონაცემები მიუთითებს მომავალში აივ-ის სქესობრივი კავშირის გზით ფართო მოსახლეობაში გავრცელების ტემპის მოსალოდნელ ზრდაზე.

დიაგრამა 1: აივ-ის ახალი შემთხვევების რაოდენობა 1996-დან 2004 წლის ჩათვლით



საქართველოში აივ ინფიცირებულთა და შიდსით დაავადებულთა სავარაუდო რაოდენობა არის სულ მცირე 2,000-დან 12,000-მდე.⁸ საქართველოში აივ-ის რეგისტრირებული შემთხვევების 67%-ს ნარკოტიკების ინექციური მომხმარებლები შეადგენებ; 26.7% გადაცემულია პეტეროსექსუალური კონტაქტით (ამ პეტეროსექსუალური კონტაქტების 1/3 მოდის ცნობილ ნარკოტიკების ინექციურ მომხმარებლებზე); პომო/ბისექსუალური კონტაქტების წილია 3.3%; სისხლის რეციპიენტების – 0.8%; 0.9% ვერტიკალური გადაცემის შედეგია, ხოლო 1.3%-ში კი გადაცემის გზა უცნობია.⁹

სამწუხაროდ, საქართველოში აივ/შიდსის გავრცელებაზე და სექს-მუშაკების მაღალ სარისკო ქცევებზე მხოლოდ შეზღუდული ეპიდემიოლოგიური მონაცემები არსებობს.¹⁰ 1997-1999 წლებში თბილისში (საქართველოს დედაქალაქში), ფოთში და ბათუმში (საპორტო ქალაქში შავი ზღვის სანაპიროზე) ჩატარებულ კვლევაში გამოკვლეული 73 სექს-მუშაკიდან აივ ინფიცირებული 1.4% აღმოჩნდა.¹¹ სხვა ანგარიშის მიხედვით, სექს-მუშაკების 51.5% აღნიშნავდა, რომ რეგულარულად იყენებს კონდომს კლიენტებთან.¹² ვეღერაციის "გადავარჩინოთ ბავშვების" მიერ თბილისში ჩატარებული ქცევის ზედამხედველობის პირველი კალევის (BSS-1) მონაცემებით, გამოკვლეული სექს-მუშაკების დიდი უმრავლესობა (94.9%) აღნიშნავდა, რომ ყოველთვის

⁸ UNAIDS, 2004 Report on the Global AIDS Epidemic. გვ. 196. <http://www.unaids.org/bangkok2004/GAR2004_pdf/GAR2004_table_countryestimates_en.pdf>

⁹ "2004 წლის წლიური ანგარიში", გამოუქვეყნებელი, ინფექციური პათოლოგია, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო/პრაქტიკული ცენტრი.

¹⁰ ითვლება, რომ საქართველოში 2003 წელს 700-დან 4,000-მდე 15-49 წლის ასაკის აივ ინფიცირებული ქალი ცხოვრობდა. UNAIDS, 2004 Report on the Global AIDS Epidemic. გვ. 197. <http://www.unaids.org/bangkok2004/GAR2004_pdf/GAR2004_table_countryestimates_en.pdf>

¹¹ აივ/შიდსის სიტუაციური ანალიზი საქართველოში, საქართველოს შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო/პრაქტიკული ცენტრი, 2001

¹² საქართველოს შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო/პრაქტიკული ცენტრი, 2001: გვ.42 (გამოუქვეყნებელი).

იყენებს კონდომს კლიენტებთან.¹³ 2002 წელს შემოწმებული სექს-მუშაკებიდან არც ერთი არ იყო ინფიცირებული აივით. თუმცა, სექს-მუშაკების 28.8% ინფიცირებული იყო სიფილისით, 25.3% ქლამიდიით და 17.4% - გონორეით. 2004 წელს "გადავარჩინოთ ბავშვების" მიერ თბილისში ჩატარებული მეორე BSS-ში სიფილისის პრევალენტობა გაიზარდა 48.7%-მდე, ხოლო ქლამიდისა და გონორეის პრევალენტობა სტაბილური იყო ტესტირებულ ქალებში (22.3% ორივე ინფექციისათვის).

საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში სექს-მუშაკები იძულებულნი იყვნენ, გაევლოთ სავალდებულო ტესტირება და მკურნალობა სგგი/აივ-ზე. ამ ინფექციებზე მკაცრი ეპიდემიოლოგიური ზედამხედველობა და კონტროლი ხორციელდებოდა. 1991 წელს მომხდარი კომუნისტური რეჟიმის დაშლის შემდგომ ეს სისტემა და კონტროლი ადარ არსებობს. მას შემდეგ საქართველოში მიმდინარეობს სგგი/აივ-ის პრევენციისა და კონტროლის სრულიად ახლებული მიღვომების განვითარების მცდელობები. თუმცა, სანამ საქართველოში კომერციული სექსი არც ლეგალურია და არც არალეგალურად არის მიჩნეული, პოლიცია განაგრძობს სექს-მუშაკების დაკავებას მათი იძულებითი ტესტირების მიზნით. სექს-მუშაკებს შეუძლიათ ამ იძულებითი ტესტირების თავიდან აცილება ქრთამის მიცემით ანდა უფასო სექსობრივი მომსახურების გზით. სამართალდამცავების მიერ ძალისმიერი მეთოდების გამოყენება ქმნის დამატებით ბარიერებს სექს-მუშაკების ნებაყოფლობითი მკურნალობისთვის და უფრო მეტ სირთულეებს უქმნის იმ ორგანიზაციებს, რომლებიც ამ პოპულაციას უწევენ მომსახურებას.

საქართველოს სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებმა, ისევე როგორც საერთაშორისო დონორმა ორგანიზაციებმა, აივ-ის ეპიდემიის საწყის ეტაპს პილოტური ღონისძიებებით უპასუხეს. მიუხედავად პოლიტიკური მხარდაჭერისა, რომელიც აქვს ასეთ ღონისძიებებს, საჭიროა სგგი/აივ ეპიდემიის მომავალი გავრცელების პრევენციის ეფექტური და მრავალმხრივი სისტემის შექმნა საქართველოში, ისევე როგორც მთელ ამიერკავკასიის რეაიონში.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველო აივ/შიდისის დაბალი პრევალენტობის ქვეყნად განიხილება, არსებობს იმის საფრთხე, რომ დაბალი პრევალენტობა გაიგივებული იყოს აივ-ის პრევენციის დაბალ პრიორიტეტულობასთან.¹⁴ უკანასკნელი წლების მანძილზე ეკონომიკური პირობები საქართველოში არ გაუმჯობესებულა. სოციალურ-ეკონომიკური სიტუაციის მკვეთრი გაუარესებისა და გაზრდილი სოციალური უთანასწორობის ფონზე მოიმატა სტრესის, დეპრესიისა და უიმედობის მდგომარეობებმა ინდივიდებს შორის. ასეთი გარემო აივ-ის გადაცემის ხელშემწყობ პირობას წარმოადგენს, რადგანაც მომატებულია ისეთი სარისკო ქცევები, როგორიცაა ნარკოტიკების მოხმარება და პროსტიტუცია.

¹³ "ქუთაში მომუშავე სექს-მუშაკების მახასიათებლები, მაღალი რისკის შემცველი ქცევები, სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების/აივ/შიდის შესახებ ცოდნა და ამ ინფექციების გავრცელება, თბილის, საქართველო"; "გადავარჩინოთ ბავშვები", 2002.

¹⁴ Mills, S. "Back to behavior: prevention priorities in countries with low prevalence." *AIDS* 2000; 14 (supplement 3): S267-73.

ეთიკის საკითხები

აჭარის რეგიონში, კერძოდ ბათუმში ქცევის ზედამხედველობის პირველი კვლევა (BSS) ბიომარკერული კომპონენტით სექს-მუშაკებს შორის ჩატარდა სგბი/აივ/შიდსის პრევენციის (SHIP) პროექტის ფარგლებში 2004 წლის ოქტომბერ-ნოემბერში.

მკვლევარებს გათვითცნობიერებული პქონდათ ის ფაქტი, რომ ამ კვლევის სამიზნე ჯგუფები გარკვეული სოციალური ზიანის რისკის ქვეშ აღმოჩენებოდნენ, იმ შემთხვევაში, თუ მოხდებოდა რესპონდენტების იდენტიფიცირება, როგორც ამ ჯგუფის წარმომადგენლებისა. ამდენად, კვლევა ისე იყო დაგეგმილი, რომ მონაწილეები მაქსიმალურად ყოფილიყონენ დაცულნი და ამავდროულად მას მოეტანა ინდივიდუალური და საზოგადოებრივი სარგებელი. მხედველობაში მიღებულ იქნა ეთიკის შემდეგი საკითხები:

- კვლევაში მონაწილეობა ნებაყოფლობითი იყო და რესპონდენტებს ნებისმიერ დროს შეეძლოთ უარი ეთქვათ მონაწილეობაზე. მონაწილეებს აცნობეს, რომ მათ მიერ კვლევაში მონაწილეობაზე უარის თქმა ან მონაწილეობის შეწყვეტა არ მოახდენდა გავლენას იმ მომსახურებაზე, რომლითაც ისინი ჩვეულებრივ სარგებლობენ.
- სახელები არ ფიქსირდებოდა. მთელი დოკუმენტაცია ანონიმურია და მისი იდენტიფიცირება ხდებოდა მონაწილის ხომრის მიხედვით.
- ადამიანები, რომლებიც ატარებდნენ კვლევას, წინასწარ იყვნენ მომზადებულნი სენსიტიურ თემებზე საუბრისათვის და მონაწილეობა კონფიდენციალობისა და მათი ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებში.
- ინდივიდებს, რომელთაც განკურნებადი სქესობრივი გზით გადამდები ინფექცია დაუდგინდათ, შესთავაზეს კონსულტირება და მიმართეს “ჯანმრთელობის კაბინეტში” მკურნალობისათვის.
- მონაწილეების თავდაპირველი რეკრუტირება ხორციელდებოდა ამ პოპულაციასთან მუშაობის გამოცდილების მქონე არასამთავრობო ორგანიზაციის “თანადგომა” ბათუმის ფილიალის წარმომადგენლების ან თვითონ სამიზნე ჯგუფის წარმომადგენლების მიერ.

კვლევის პროტოკოლი დამტკიცებული იყო აივ/შიდსით დაავადებულთა დახმარების ფონდის ეთიკური კომისიის მიერ. კვლევა განხორციელდა ინფექციური დაავადებების, შიდსის და კლინიკური იმუნოლოგიის ცენტრთან (შიდსის ცენტრთან) თანამშრომლობით, რომელიც სახელმწიფოს მიერ აივ/შიდსის კვლევისა და მკურნალობის წამყვან დაწესებულებად არის განსაზღვრული.

მეთოდოლოგია

უკანასკნელი ორი თუ სამი ათწლეულის განმავლობაში შემუშავებულ იქნა ფარული პოპულაციების რეკრუტირების რამდენიმე მეთოდი, იქნება ეს რეკრუტირება ეპიდზედამხედველობის თუ კვლევის რაიმე სხვა მიზნისათვის. დროისა და ადგილის მიხედვით შერჩევა (TLS – Time-Location Sampling), განხილული როგორც ალბათური შერჩევის მეთოდი, განსაკუთრებით რეკომენდებულია ზედამხედველობის კვლევებისათვის სექს-მუშაკებს შორის.

დაწესებულებებში მომუშავე სექს-მუშაკების მახასიათებლები, მაღალი რისკის ქცევები, სექსოდრიფი გზით ვაღამდევი ინფექციების/აივ/ჰიდსის შესახებ ცოდნა და ამ ინფექციების გავრცელება, ბათუმი, საქართველო - 2004

ეს მიდგომა, რომელიც სულ უფრო ხშირად გამოიყენება უპანასკნელ წლებში, ეყრდნობა იმ ფაქტს, რომ ზოგი ფარული პოპულაციისათვის დამახასიათებელია კონკრეტული ტიპის ადგილებში შეკრება ან თავმოყრა.

კვლევამდე ბათუმში კომერციული სექსის შესახებ გარკვეული წინასწარი მონაცემების მისაღებად ჩატარდა ხარისხობრივი კვლევა როგორც სექს-მუშაკებთან, ისევე ამ ინფორმაციის მქონე ზოგიერთ საკვანძო პირთან. თანადგომას არსებულ გამოცდილებაზე და კვლევის წინმსწრები შეფასების მიგნებებზე დაყრდნობით ნათელი იყო, რომ თბილისისგან განსხვავებით, ბათუმში ცოტაა ქუჩებში მომუშავე სექს-მუშაკები. ისინი ძირითადად მუშაობენ ბარებში, საუნებში, სასტუმროებსა და რესტორნებში. ამდენად, იმისათვის, რომ სამიზნე პოპულაციის რეპრეზენტაციული შერჩევა მიგვეღო, კვლევა ჩატარდა დაწესებულებებში მომუშავე სექს-მუშაკებს შორის.


კვლევისათვის შერჩევის ფორმატის დასადგენად 2004 წლის ოქტომბერ-ნოემბერში თანადგომამ ჩატარა "მეფინგი" – მონაცემების ეთნოგრაფიულ რუპაზე დატანის პროცედურა. ეს განსხვრციელდა ადგილობრივ კვლევით ინსტიტუტთან (საზოგადოებრივი აზრის კვლევისა და მარკეტინგის ინსტიტუტი - IPM) თანამშრომლობით. "მეფინგის" მიზანი იყო ბათუმში დაწესებულებებში მომუშავე სექს-მუშაკების რაოდენობის, მათი სამუშაო ადგილების და სამუშაო საათების დადგენა.

მეფინგი

„მეფინგის“ დროს გამოყენებულ იქნა ბათუმის ქუჩების დეტალური რუკა. ძირითადი მიზანი იყო ყველა ისეთი დაწესებულების (რესტორანი, საუნა და სასტუმრო) იდენტიფიცირება, სადაც სექს-მუშაკები იმყოფებიან, და სექს-მუშაკების დაახლოებითი რაოდენობის დადგენა თითოეულ დაწესებულებაში. თანადგომამ, IPM-თან კონსულტაციების შედეგად, 8 ნაწილად დაყო ქალაქი (იხილეთ სურ. 3). თითოეული ნაწილის ანუ სექციის ზომა განისაზღვრებოდა მასში არსებული დაწესებულებების რაოდენობით, რათა ადვილი ყოფილიყო ამ სექციის დაკვირვება დროის მოკლე პერიოდის განმავლობაში. თითოეულ სექციაზე დაკვირვებისთვის შეიქმნა სამარშრუტო რუკა. ორი დამკვირვებლისგან - „თანადგომას“ ერთი სოციალური მუშაკისგან და IPM-ის მკვლევარისგან - შემდგარმა ორმა ჯგუფმა უნიშნო მანქანებით ორჯერ შემოიარა ქალაქის თითოეული სექცია: ერთხელ დღის საათებში (15 სთ-დან 18 სთ-დე) და ერთხელ დამით (21 სთ-დან 24 სთ-დე). თითოეული ჯგუფი ერთი დღის განმავლობაში მხოლოდ ერთ ან ორ სექციას აკვირდებოდა.

დაწესებულებებში მომუშავე სექტემბერის მახასიათებლები, მაღალი რისკის ქვევები, სქესობრივი გზით ვაღამდეგი ინფექციების/აივ/შიდის შესახებ ცოდნა და ამ ინფექციების გავრცელება, ბათუმი, საქართველო - 2004

სურათი 3: ბათუმის სექციები, გამოყენებული სექს-მუშაკებზე დაკვირვებისა და მეფინგისათვის



“მეფინგის” დროს დაკვირვების ქვეშ მყოფი 331 დაწესებულებიდან სექს-მუშაკები 29-ში აღმოჩნდნენ:

- 26 ბარი;
- 1 სასტუმრო;
- 1 საუნა;
- 1 დამის თავშესაფარი (უსახლკაროთათვის)

ამ ადგილებში მომუშავე სექს-მუშაკების რაოდენობა იყო 84.

კვლევისათვის მონაწილეების რეკრუტირება შემდეგნაირად ხდებოდა: მძღოლი და „თანადგომას“ სოციალური მუშაკები გადიოდნენ ქალაქის თითოეულ ნაწილში და ინფორმაციას აწვდიდნენ სექს-მუშაკებს კვლევის მიზნების შესახებ. ყოველ მათგანს კვლევაში მონაწილეობისთვის წასახალისებლად სთავაზობდნენ მობილური ტელეფონის წინასწარი გადახდის ბარათს. თანხმობის შემთხვევაში სექს-მუშაკი მოჰყავდათ "ჯანმრთელობის კაბინეტში" ინტერვიუირებისათვის და ინტერვიუს შემდეგ დაუყოვნებლივ სთავაზობდნენ სისხლისა და შარდის ანალიზების ჩაბარებას. თითოეულ სექს-მუშაკს აძლევდნენ ბარათს მასზე აღნიშნული საიდენტიფიკაციო ნომრით და "ჯანმრთელობის კაბინეტში" მიმართვის კუპონს უფასო მომსახურების მისაღებად (პროფილაქტიკის ჩათვლით). ყველა სექს-მუშაკს სთხოვეს, დაერეგათ ორი კვირის შემდეგ მათი ტესტირების შედეგების გასაგებად. ინტერვიუს შემდეგ სექს-მუშაკები მანქანით მიჰყავდათ ისევ იმ ადგილას, სადაც მათი რეკრუტირება მოხდა.

ბათუმის დედათა და ბაგრათა ჯანმრთელობის ცენტრმა და შიდსის ცენტრმა "თანადგომას" ბათუმის ფილიალს მიაწოდა ტესტირების პასუხების ჩამონათვალი საიდენტიფიკაციო ნომრების მიხედვით. როცა სექს-მუშაკი რეკავდა პასუხის გასაგებად, იგი ამბობდა თავის საიდენტიფიკაციო ნომერს და იმ შემთხვევაში, თუ ის უარყოფითი იყო, მას ატყობინებდნენ პასუხს. თუ ტესტის პასუხი დადებითი იყო, სექს-მუშაკს იწვევდნენ "თანადგომას" ოფისში,

დაწებებულებები მომუშავე სექს-მუშაკების მახასიათებლები, მაღალი რისკის ქცევები, სქენობრივი გზით ვაღამდეგი ინფექციების/აივ/ჰიდბის შესახებ ცოდნა და ამ ინფექციების გავრცელება, ბათუმი, საქართველო - 2004

სადაც პასუხის შეტყობინებასთან ერთად მას უტარდებოდა პოსტ-ტესტი კონსულტირება. ყველა სექს-მუშაკს, ვისაც აღმოჩნდებოდა სგვი, სთავაზობდნენ "ჯანმრთელობის კაბინეტში" მისვლას უფასო მკურნალობისათვის. 120 გამოკითხული სექს-მუშაკიდან ნახევარზე ნაკლებმა (47, ანუ 39%) მიიღო შეტყობინება თავისი საგი/აივ სტატუსის შესახებ.

კვლევის ინსტრუმენტი

კვლევის ინსტრუმენტად გამოყენებული იყო სექს-მუშაკების ქცევის საკვლევი კითხვარი, რომელიც მოცემული იყო ოჯახის ჯანმრთელობის საერთაშორისო ორგანიზაციის (FHI) სახელმძღვანელოში *Behavioral Surveillance Surveys: Guidelines for Repeated Behavioral Surveys in Populations at Risk for HIV*. ეს ინსტრუმენტი გამოიყენებოდა რამოდენიმე ქვეყანაში სქესობრივი და სქესობრივ ურთიერთობებთან დაკავშირებული სარისკო ქცევების შესწავლისას სექს-მუშაკებს შორის. კითხვარი ითარგმნა ქართულ ენაზე და შემდგე ქართულიდან ისევ ინგლისურ ენაზე. საბოლოო სახე კითხვარმა მიიღო მას შემდეგ, რაც შესაბამისობაში მოვიდა ქართულ კონტექსტან და გაიარა პრეტესტირება სექს-მუშაკებთან ფოკუსირებული დისკუსიებისა და ჩაღრმავებული ინტერვიუების შედეგად.

კითხვარის საბოლოო ვარიანტი ასევე ითარგმნა ქართულად და მომზადდა მისი რუსული ვერსიაც რუსულენოვანი სექს-მუშაკებისთვის. იგივე კითხვარი იქნა გამოყენებული SHIP პროექტის მიერ 2004 წელს ჩატარებულ კვლევებში როგორც თბილისში, ასევე ბათუმში. შესაბამისად, კვლევის ადგილმდებარეობებს შორის შესაძლებელია შედარებების გაკეთება. მხოლოდ მცირე ცვლილებები იქნა შეტანილი ბათუმში გამოყენებულ კითხვარში, კერძოდ, მას დაემატა სექცია ტრეფიკინგისა და საზღვარგარეთ მუშაობის შესახებ.

ინტერვიუირება ჩატარდა IPM-ის ორი გამოცდილი და მომზადებული ინტერვიუერის მიერ "ჯანმრთელობის კაბინეტის" ორ იზოლირებულ ოთახში. ამასთან ერთად, მოწვევული იყო დამოუკიდებელი კონსულტანტი ინტერვიუირების პროცესის დამკვირვებლებად. საშუალოდ, ინტერვიუირება გრძელდებოდა 30 წუთის განმავლობაში.

კვლევის მონაწილეების რეკრუტირება და ინტერვიუება

თანადგომას ორი წევრისგან შემდგარმა ჯგუფმა მოახდინა კვლევის მონაწილეების რეკრუტირება ყველა აღგილიდან, იქნებოდა ეს დღის თუ დამის ადგილი, რომლებიც დადგინდა მეფინგის შედეგად.

1. 2004 წლის 11 ოქტომბრიდან 4 ნოემბრამდე "თანადგომას" წევრები (2 სოციალური მუშაკი) დაუგავშირდნენ დაწესებულებებაში მომუშავე 142 სექს-მუშაკს.
2. საერთო ჯამში რეკრუტირებულ იქნა დაწესებულებებაში მომუშავე 120 სექს-მუშაკი (იხ. დანართი, ცხრილი 1).
3. კვლევის სუბიექტების დუბლირება თავიდან აცილებულ იქნა მათი საიდენტიფიკაციო მონაცემთა ბაზის გამოყენებით, რომელშიც

დაწესებულებებში მომუშავე სექს-მუშაკების მახასიათებლები, მაღალი რისკის ქცევები, სქესობრივი გზით ვაღიამდები ინფექციების/აივ/ჰიდას შესახებ ცოდნა და ამ ინფექციების გავრცელება, ბათუმი, საქართველო - 2004

აღირიცხებოდა სექს-მუშაკების ასაკი, ეროვნება, და ისეთი ფიზიკური მახასიათებლები, როგორიცაა სიმაღლე, წონა, ნაიარები, ტატუირება და სხვა ბიომეტრული მონაცემები.

4. შერჩევა დასრულდა, როცა მიღწეული იქნა სამიზნე შერჩევის მინიმალური ზომა (120).
5. ინტერვიუს დასრულების შემდეგ სექს-მუშაკებს სთავაზობდნენ სისხლის და შარდის ჩაბარებას სგაისა და აიგ-ზე ტესტირებისათვის. სისხლის ადებას აწარმოებდა "ჯანმრთელობის კაბინეტი" მომუშავე ლიცენზირებული ექთანი.
6. სულ შარდის 120 ნიმუში იყო შეგროვებული NG და CT-ზე ტესტირებისთვის და სისხლის 115 ნიმუში სიფილისზე და აიგ-ზე ტესტირებისთვის. ხუთმა სექს-მუშაკმა უარი თქვა სისხლის სინჯების ჩაბარებაზე.

ბიომარკერული ტესტირება

პილევის ბიომარკერული კომპონენტი მოიცავდა სისხლის და შარდის სინჯების ანალიზის ჩატარებას ბათუმის დედათა ჯანმრთელობის რესპუბლიკურ ცენტრში. დაბათურება და ხარისხის კონტროლი ხორციელდებოდა თბილისში, ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო/პრაქტიკული ცენტრის სეროლოგიისა და ვირუსოლოგიის ლაბორატორიაში. კვლევის პროტოკოლის მიხედვით, სისხლის სინჯების 10% შემთხვევით, რანდომული გზით შეირჩეოდა და იგზავნებოდა შიდსის ცენტრში ხარისხის კონტროლისა და ლაბორატორიული ტესტირებისათვის. გარდა ამისა, სისხლის ყველა ნიმუში, რომელიც აიგ დადებითი ადმონიდა, იგზავნებოდა იმავე სეროლოგიისა და ვირუსოლოგიის ლაბორატორიაში დადასტურებისათვის.

შარდის სინჯები სანდოდ ინახებოდა ბათუმის "ჯანმრთელობის კაბინეტი". მათი ტრანსპორტირება თბილისში, შიდსის ცენტრში ხდებოდა ცივი ფუთების გამოყენებით. შარდის ნიმუშები მოწმდებოდა პოლიმერაზაციის ჯაჭვური რეაქციის (PCR) მეშვეობით.

აიგ-ზე ტესტირება

აიგ-ის ანტისეულებზე ტესტირება ჩატარდა სამეტაპობრივი ენზიმური კავშირული იმუნოსორბენტული ანალიზის (ELISA) გამოყენებით. იმ შემთხვევაში, თუ ნიმუში იძლეოდა რეაქციას ELISA-ს პირველ ეტაპზე (Genescreen Plus HIV Ag-AB, Bio-rad), კიდევ ორჯერ ხდებოდა მისი განმეორებითი ტესტირება ELISA-ს ახალი კომპლექტის გამოყენებით. ნიმუში აიგ-ის ანტისეულებზე დადებითად ითვლებოდა იმ შემთხვევაში, თუ სამი ტესტიდან ორზე აღინიშნებოდა რეაქცია. ყველა ის ნიმუში, რომელიც არ იყო მგრძნობიარე აიგ-ის ანტისეულებზე ტესტირების პირველ ეტაპზე, უარყოფითად იყო მიჩნეული. აიგ-ის ანტისეულებზე დადებითი ნიმუშების დადასტურება Western Blot ტესტით (HIV blot, Genelabs) ხორციელდებოდა.

სიფილისზე ტესტირება

სისხლის შრატის ნიმუშები ასევე ტესტირებული იყო სიფილისის ანტისეხულებზე კარდიოლიპიდური ანტიგენით მიკრორეაქციის (RPR, Human) და სპიროქეტული ანტიგენით ჰემაგლუტინაციის რეაქციის (TPHA, Human) ტესტების გამოყენებით. ELISA-ს (ELISA TP IgG test (Nubenco) ტესტები გამოყენებული იყო სიფილისის ანტისეხულებზე დადებითი ნიმუშების დადასტურებისთვის.

Neisseria gonorrhoea and Chlamydia trachomatis

შარდის ნიმუშები ტესტირებული იყო პოლიმერაზაციის ჯაჭვური რეაქციის (PCR) გამოყენებით *Neisseria gonorrhoea* and *Chlamydia trachomatis* სადეტექციო ტესტების მწარმოებელი ფირმის (CT/NG PCR, Roche) ინსტრუქციების შესაბამისად. PCR-ის დადებითი პასუხები მიჩნეული იყო გონორეის და ქლამიდიური ინფექციების დადასტურებად.

მონაცემთა ბაზის შექმნა და სტატისტიკური ანალიზი

მონაცემთა ბაზის შესაქმნელად ვედრაცია "გადავარჩინოთ ბავშვები" დაუკავშირდა საზოგადოებრივი აზრის კვლევისა და მარკეტინგის ინსტიტუტს (IPM), რომელიც მდებარეობს თბილისში, საქართველო. ინტერვიუების დასრულების შემდეგ, პროგრამა SPSS-ის (ვერსია 11) გამოყენების მეშვეობით, IPM-მა მოამზადა მონაცემთა ბაზა იმ კითხვარის შესაბამისად, რომელშიც მოცემულია ცვლადების სახელები, ცვლადების აღწერა და ცვლადების მნიშვნელობის დასახელება. ორმა გამოცდილმა ადამიანმა შეიყვანა მონაცემები. ერთი მათგანი კითხულობდა დასრულებულ ინტერვიუს კითხვარს, მეორეს კი უშუალოდ შეფავდა მონაცემები.

მას შემდეგ, რაც მონაცემთა ბაზის შექმნა დასრულდა, დასრულებული ინტერვიუს ფორმების 5%-მა გაიარა შემთხვევითი შემოწმება. გარდა ამისა, მოხდა უკეთ ცვლადის სახელების, მნიშვნელობებისა და სისტირეების შემოწმება. ამგვარად "გაწმენდილი" მონაცემთა ბაზა გადაეცა ფედერაციას "გადავარჩინოთ ბავშვები" მონაცემთა ანალიზისათვის.

შიდსის ცენტრის წარმომადგენელმა ქეთი სტვილიამ ჩაატარა მონაცემთა ანალიზი. პროცენტული მაჩვენებლები, საშუალო და მედიანა მიღებული იყო სექს-მუშაკებს შორის გავრცელებული სარისკო ქცევების პრევალენტობის შესაფასებლად. ბივარიაციული დამოკიდებულება ასაკობრივ ჯგუფებსა და სხვა ცვლადებს შორის დადგენილ იქნა ხი კვადრატ კრიტერიუმისა და ფიშერის ზუსტი კრიტერიუმის გამოყენებით.

კვლევის შედეგები

სექს-მუშაკის პორტრეტი - მაია

ბათუმში სხვადასხვა ასაკის, სოციალური წარმოშობისა და სხვადასხვა ადგილზე მომუშავე ბევრი სექს-მუშაკია. მათ სხვადასხვა ტიპის კლიენტები ჰყავთ, მომსახურების განსხვავებული ფასი და კონდომის გამოყენებაზე მოლაპარაკების განსხვავებული უნარ-ჩვევები აქვთ. თუმცა, მიუხედავად ამ მრავალფეროვნებისა, მნიშვნელოვანია, როცა კი ეს შესაძლებელია, წარმოდგენილი მონაცემებისთვის და სტატისტიკური მაჩვენებლებისთვის

ერთიანი „სახის“ მიცემა. ასე რომ, ბათუმის ტიპიური სექს-მუშაკის ილუსტრირებისთვის ქვემოთ მოყვანილია მაიას პორტრეტი.

მაია 33 წლისაა და ოთხ წელიწადზე მეტია, რაც კომერციული სექსით არის დაკავებული. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ცოტა ხანში იგი ცოლად თავის მეგობარ მამაკაცს გაჰყვა, იმის იმედით, რომ თავის ქალაქში მეტ-ნაკლებად ნორმალური ცხოვრება ექნებოდა. მაგრამ რამდენიმე წლის შემდეგ მისმა მეუღლემ სამსახური დაკარგა. მან უეცრად აღმოაჩინა, რომ სარჩენი ჰყავდა ორი შვილი, დედა და ქმარი, რომლებიც მას ბავშვების აღზრდაში ეხმარებოდნენ. მძიმე უკონომიკური პრობლემების გამო სამსახურის შოვნა მის მშობლიურ ქალაქში ძალიან ძნელი იყო და, რადგანაც მაიას მხოლოდ საშუალო განათლება ჰქონდა მიღებული (მშობლები და ნათესავები არასოდეს უბიძებდონენ მას უმაღლესი განათლების მიღებისაგან), მან იცოდა, რომ საკმარისად ანაზღაურებადი სამსახურის შოვნის პერსპექტივა ძალიან ბუნდოვანი იყო. ამიტომ, ოჯახის დახმარების მიზნით, მაია ბათუმში გადავიდა და იმ ერთადერთი ღირებულის, რაც მას გააჩნდა - თავისი სხეულის გაყიდვა დაიწყო.

გასული კვირის განმავლობაში მაიას 5 კლიენტი ჰყავდა. იგი თითოეული კლიენტისგან 50 ლარს (27 აშშ დოლარი) იღებს, რაც იმას ნიშნავს, რომ გასული კვირის განმავლობაში მისმა შემოსავალმა დაახლოებით 250 ლარი (137 აშშ დოლარი) შეადგინა. ბათუმის მოსახლეობის უმრავლესობის შემოსავალთან შედარებით, ეს საქმაოდ კარგი ანაზღაურებაა. ყოველ შემთხვევაში, ამ ფულით მას საშუალება ექნება შვილები საკვებითა და სასკოლო ნივთებით უზრუნველყოს და დედას წამლები უყიდოს. (იგი უმაღლავს ოჯახს და მეგობრებს მშობლიური ქალაქიდან, თუ როგორ შოულობს ფულს სინამდვილეში.)

იმისათვის, რომ თავი დაიცვას, იგი თითქმის ყოველთვის მოითხოვს კლიენტებისგან კონდომის გამოყენებას. კლიენტები ზოგჯერ სცემენ მაიას და მის ნაცნობ სექს-მუშაკებს. რატომ? ისინი ყოველთვის დარწმუნებულნი არ არიან, თუ რატომ ხდება ეს - შეიძლება უბრალოდ იმიტომ, რომ სექს-მუშაკები არიან, ან იმიტომ, რომ მამაკაცებს უბრალოდ მძიმე დღე ჰქონდათ და ვინმეზე თავისი აგრესია უნდათ გადმოანთხოოს.

მაია ებრძვის სექსობრივი გზით გადამდებ ინფექციებს. გასულ წელს მას აწუხებდა უწვევულო ვაგინალური გამონადენი. ცოტა ხნის წინ ინფექციის გამო მან კლინიკას მიმართა, მაგრამ მკურნალობა იქ არ გაუვლია, ვინაიდან დასმულ დიაგნოზში ეჭვი შეეპარა. მას უთხრეს, რომ რამდენიმე სახის ინფექცია აქვს, ზოგიერთი მათგანი - სიმტომების გარეშე. მას გაუკვირდა, როგორ შეიძლებოდა ინფიცირებული ყოფილიყო, თუკი ამის სიმტომები არ გააჩნდა. მას ახსოვს მეგობრების ნათქვამი, რომ ზოგიერთ კლინიკაში დამატებითი ფულის გამოძალვის მიზნით პაციენტს ეუბნებიან, თითქოს მას რადაც ინფექცია აქვს, სინამდვილეში კი ეს ასე არ არის. ამ ეჭვების გამო მაიამ ამჯობინა, არ გაევლო მკურნალობის კურსი კლინიკაში. თუმცა, საფრთხის თავიდან ასაცილებლად და ცოტაოდენი ფულის დასაზოგად მან ანტიბიოტიკების ინექცია გაიკეთა.

მაიას გაუგია აივ/ჸიდსის შესახებ ტელევიზიით და ბათუმში რამდენიმე სოციალურ მუშაკთან საუბრიდან. მან იცის, რამდენად მნიშვნელოვანია კონდომის გამოყენება სექსობრივი გზით გადამდები ინფექციებისაგან თავდაცვისათვის. მაიამ აივზე ტესტირება გაიკეთა, რადგანაც ამაზე ღელავდა და ძალიან ბედნიერი იყო, როცა ნეგატიური პასუხი მიიღო.

მაიას ჰყავს მეგობარი მამაკაცი, რომელიც უყვარს. იგი არ არის წინააღმდეგი, რომ მაია ასეთი საქმიანობით არის დაკავებული, რამდენადაც იგი ასე ოჯახს ინახავს. მის მიმართ სიყვარული და ნდობა რომ გამოხატოს, მაია დაუინებით არ მოითხოვს მისგან კონდომის გამოყენებას, თუმცა დარწმუნებული არ არის, რომ მას სხვა სექსობრივი

დაწესებულებებში მომუშავე სექს-მუშაკების მახასიათებლები, მაღალი რისკის ქცევები, სქენობრივი გზით ვაღიამდები ინფექციების/აივ/ჰიდსის შესახებ ცოდნა და ამ ინფექციების გავრცელება, ბათუმი, საქართველო - 2004


პარტნიორი არ ჰყავს. ამიტომ ზოგჯერ მაია ფიქრობს, რომ შეიძლება ინფექციები მისგან პქონდეს შეძენილი

შპათ-კვირას მაია ხშირად იღებს ალკოჰოლურ სასმელებს მეგობრებთან ერთად, მაგრამ ნარკოტიკებისგან თავი შორს უჭირავს. იგი ყოველდღე ხედავს იმას, რომ ეკონომიკური სიტუაცია საქართველოში თანდათანობით იცვლება. მანამდე კი იგი ცდილობს ჯანმრთელობა შეინარჩუნოს, რომ, როცა ამის შესაძლებლობა გამოჩენდება, შეძლოს მშობლიურ ქალაქში დაბრუნება და ოჯახის შენახვისათვის საქმარისი ანაზღაურების მომცემი სამსახურის შოვნა. თუმცა, სანამ ბათუმში ეკონომიკური სიტუაცია გაუმჯობესდება, მაიამ შეიძლება გადაწყვიტოს თავის კოლეგებთან ერთად საზღვარგარეთ წასვლა. მათ უმუშავიათ თურქეთში სექს-მუშაკებად და იქ კარგი ფული იშოვეს. მას გაუგია ქალების ტრეფიკინგის შესახებ, ამიტომ შეეცდება, მაქსიმალურად ფრთხილად იყოს.

სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლები

რეკრუტირებული სექს-მუშაკების საშუალო ასაკი 32.1 წელია (მედიანა 33.0 წელი), როგორც ეს ნაჩვენებია დიაგრამაზე 2. სექს-მუშაკების ყველაზე დიდი პროცენტი (43.3%) 31-39 წლისაა, ხოლო მომდევნო დიდი პროცენტი (24.2%) 25-30 წლის. ყველაზე მცირე პროცენტი (1.7%) 19 ან ნაკლები წლისაა.

დიაგრამა 2: სექს-მუშაკების განაწილება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით



სექს-მუშაკების უმრავლესობა (81.7%) ქართველია და მხოლოდ მცირე პროცენტული ნაწილია რუსი (8.3%), უკრაინელი (4.2%) ან ოსი (1.7%). მხოლოდ ხუთი სექს-მუშაკი იყო სხვა ეთნიკური წარმოშობის (აზერბაიჯანელი, სომები, ქურთი, პოლონელი და მოლდაველი).


კვლევის 120 მონაწილიდან მხოლოდ 4.2%-მა აღნიშნა, რომ იძულებით ადგილნაცვალი პირია. ყველა სექს-მუშაკი (100%) კვლევის ჩატარების მომენტში ბათუმში ცხოვრობდა და საშუალოდ იქ 12.6 წელია, რაც ცხოვრობს. დაახლოებით ერთი მეტედი (19.2%) კომერციული სექსით სხვა ქალაქში ყოფილა დაკავებული, ხოლო 25.0%-მა აღნიშნა, რომ სხვა ქვეყანაში არის ნამუშევარი (ძირითადად თურქეთში). საშუალოდ, სექს-მუშაკები საზღვარგარეთ კომერციულ სექსში 3.7 წელი იყვნენ დაკავებული (დიაპაზონით 2 კვირიდან 9 წლამდე).

კვლევის მონაწილე სექს-მუშაკების სწავლების ხანგრძლივობა არის საშუალოდ 10.9 წელი. მათ უმრავლესობას (70.0%) მიღებული აქვს საშუალო ან პროფესიულ-ტექნიკური განათლება, 22.5%-ს კი - გარკვეული

დაწესებულებებში მომუშავე სექს-მუშაკების მახასიათებლები, მაღალი რისკის ქცევები, სქესობრივი გზით ვაღიამდები ინფექციების/აივ/ჰიდის შესახებ ცოდნა და ამ ინფექციების გავრცელება, ბათუმი, საქართველო - 2004

საუნივერსიტეტო განათლებაც (იხ. დიაგრამა 3). მცირე პროცენტს (6.7%) მხოლოდ დაწყებითი განათლება აქვს. ერთმა სექს-მუშაკმა (0.8%) აღნიშნა, რომ საერთოდ არ აქვს მიღებული განათლება.


დიაგრამა 3: გამოკვლეული სექს-მუშაკების განაწილება განათლების დონის მიხედვით



სექს-მუშაკების უმრავლესობა (54.2%) დაქორწინებული იყო კვლევის ჩატარების დროს. ერთ მესამედზე მეტი (39.1%) იყო განქორწინებული ან მეუღლისგან განცალკევებით ცხოვრობდა და მხოლოდ 6.7% არასოდეს ყოფილა დაქორწინებული (იხ. ცხრილი 5). განქორწინებული სექს-მუშაკების უმრავლესობა (61.7%) აღნიშნავს, რომ ჰყავს მუდმივი პარტნიორი. ამჟამად დაქორწინებული რესპონდენტების ერთ მეოთხედზე ცოტა მეტმა (26.2%) აღნიშნა, რომ მათ მეუღლეს სხვა სქესობრივი პარტნიორები ჰყავს; 32.3%-მა თქვა, რომ არ აქვთ სქესობრივი ურთიერთობა მეუღლესთან და ჰყავთ სხვა მუდმივი პარტნიორი. უმრავლესობა (75.0%) იმ სექს-მუშაკებისა, ვინც არასოდეს ყოფილა დაქორწინებული, აღნიშნავს, რომ ჰყავს მუდმივი სქესობრივი პარტნიორი.

რესპონდენტების ნახევარზე მეტმა (54.2%) აღნიშნა, რომ ალკოჰოლს იღებს კვირაში ერთხელ ან ამაზე იშვიათად (ცხრილი 6), ხოლო 11.7%-მა მიუთითა ალკოჰოლის ყველდღიური მოხმარება.

დიაგრამა 4: სექს-მუშაკებში ალკოჰოლის მოხმარების სიხშირე




სულ ექვსმა სექს-მუშაკმა აღნიშნა ნარკოტიკების მოხმარება. ორს (1.7%) მიუდია ნარკოტიკები ინექციური გზით (პერინი და/ან ოპიუმი); მათგან ორივე 31-ზე მეტი წლისაა.

დაწესებულებებში მომუშავე სექს-მუშაკების მახასიათებლები, მაღალი რისკის ქვევები, სექსობრივი გზით ვაღიამდები ინფექციების/აივ/ჰიდის შესახებ ცოდნა და ამ ინფექციების გავრცელება, ბათუმი, საქართველო - 2004

სექსობრივი კავშირის პირველად დამყარების ასაკი სექს-მუშაკებში საშუალოდ 17.6 წელია (ცხრილი 7). მთლიანობაში, საშუალო ასაკი, როდესაც გამოკვლეულმა სექს-მუშაკებმა პირველად გაწიეს სექსობრივი მომსახურება ფულის სანაცვლოდ, არის 30.9 წელი (მედიანა 28 წელი). ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, საშუალო ასაკი, როდესაც პირველად გაწიეს სექსობრივი მომსახურება ფულის სანაცვლოდ, იყო 16.5 წელიაზე ახალგაზრდა ჯგუფისათვის. ეს მონაცემი გაიზარდა 49.3 წლამდე 40 და მეტი წლის სექს-მუშაკებისათვის (იხ. დიაგრამა 5).

დიაგრამა 5: სექს-მუშაკების საშუალო ასაკი პირველი კომერციული სექსობრივი კაგშირის დროს



სექს-მუშაკების კომერციულ სექსში ჩართულობის საშუალო ხანგრძლივობა 4.2 წელია. ეს პერიოდი იზრდება ასაკთან ერთად, 1.0 წლიდან ახალგაზრდა სექს-მუშაკებში (<19 წლის) 6.2 წლამდე 31-39 წლის ასაკობრივი ჯგუფისათვის. ეს მაჩვენებელი შემცირდა 3.3 წლამდე ყველაზე უფროსი ასაკობრივი ჯგუფისათვის. ერთმა სექს-მუშაკმა აღნიშნა, რომ 17 წელია, რაც კომერციულ სექსშია ჩართული.

სექს-მუშაკების დაახლოებით ერთ მეოთხედს (24.2%) აქვს შემოსავლის სხვა წეარო. მათი ყველაზე დიდი პროცენტი (44.8%) მიმტანად მუშაობს რესტორნებში, 10.3% კი - ბარში. მცირე პროცენტი (6.9%) ფულს მცირე ვაჭრობით შოულობს. შემოსავლის მომტან სხვა საქმიანობაში ჩართულობა უფრო ხშირი იყო ასაკით უფროს სექს-მუშაკებში. 40 წელს გადაცილებული სექს-მუშაკების ნახევარმა აღნიშნა, რომ აქვს შემოსავლის სხვა წეარო. შემოსავლის სხვა წეაროს არსებობაში განსხვავება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით სტატისტიკურად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ($\chi^2=3.51$ (4df), $p<0.006$).

სექს-მუშაკების დიდმა უმრავლესობამ (89.5%) აღნიშნა, რომ პყავს ფინანსურად დამოკიდებული პირები (ბავშვები, მშობლები, ბებია-ბაბუები); მათგან 93.1% ფინანსურად შვილებს ეხმარება, 52.9% კი - მშობლებს და სხვა ნათესავებს.

სექს-მუშაკებს, ვინც ერთ ან მეტ ადამიანს ეხმარება ფინანსურად, საშუალოდ სამი დამოკიდებული პირი პყავთ (მედიანა 3.1 ადამიანი). თითქმის ნახევარი (40.0%) იმათგან, ვისაც პყავს დამოკიდებული პირები, განარჩენებულია ან მეუღლისაგან განცალკევებული. უმრავლესობამ (75.8%) ასევე აღნიშნა, რომ კომერციული სექსი მათვების შემოსავლის ერთადერთ წარმოადგენს.

დაწესებულებებში მომუშავე სექს-მუშაკების მახასიათებლები, მაღალი რისკის ქცევები, სექსოდრიფი გზით ვაღიამდები ინფექციების/აივ/ჰიდის შესახებ ცოდნა და ამ ინფექციების გავრცელება, ბათუმი, საქართველო - 2004

ეკონომიკური გადარჩენა ერთ-ერთი წამყვანი ფაქტორია, რომელიც ქალებს უბიძებს კომერციული სექსისკენ.


მაღალი სარისკო ქცევები, ცოდნა სგბი-ის და აივ/შიდსის შესახებ სექსობრივი ქცევა კლიენტებთან

სექს-მუშაკების დიდმა უმრავლესობამ (79.2%) აღნიშნა, რომ ჰყავდათ კლიენტები უკანასკნელი 7 დღის განმავლობაში (იხილეთ დანართში ცხრილი 8). იმ სექს-მუშაკებისთვის, ვისაც ბოლო 7 დღის განმავლობაში ჰყავდა კლიენტები, კლიენტების საშუალო რაოდენობამ 5.6 შეადგინა დროის ამ პერიოდისათვის. 25-30 წლის სექს-მუშაკებმა ინტერვალებშე ერთი კვირის პერიოდისათვის კლიენტების უფრო მეტი რაოდენობა მიუთითეს (საშუალო 8.4 კლიენტი), ვიდრე უფრო ახალგაზრდა რესპონდენტებმა (ყველაზე დაბალი საშუალოდ 2.5 კლიენტი).

სექსობრივი მომსახურების ღირებულება მერყეობს 5 ლარიდან (3 აშშ დოლარი) 400 ლარამდე (220 აშშ დოლარი), საშუალოდ 52 ლარი (29 აშშ დოლარი). ბოლო კლიენტისაგან ყველაზე ახალგაზრდა ჯგუფმა საშუალოდ 60 ლარი (33 აშშ დოლარი) მიიღო, ხოლო ყველაზე უფროსმა ასაკობრივმა ჯგუფმა - 40 ლარი (22 აშშ დოლარი).

კითხვაზე, თუ რა სიხშირით იყენებდნენ კონდომს ბოლო 30 დღის განმავლობაში, სექს-მუშაკების 54.2%-მა უპასუხა, რომ კონდომს კლიენტებთან რეგულარულად ხმარობდნენ. იმ სექს-მუშაკების პროცენტული რაოდენობა, რომლებიც მუდმივად იყენებენ კონდომს კლიენტებთან, იზრდება ასაკთან ერთად, დაწყებული 47.1%-დან 19-24 წლის რესპონდენტებისათვის, დამთავრებული 60.0%-ით ყველაზე უფროს ასაკობრივ ჯგუფში. 19 წელზე ახალგაზრდა სექს-მუშაკებიდან არც ერთმა არ აღნიშნა კონდომის რეგულარული გამოყენება კლიენტებთან (დიაგრამა 6). აღსანიშნავია, რომ 31 წელზე მეტი ასაკის სექს-მუშაკებიდან სამშა აღნიშნა, რომ კლიენტებთან კონდომს არასოდეს იყენებს.

დიაგრამა 6: ბოლო 1 თვეის განმავლობაში კლიენტებთან კონდომის მუდმივად გამოყენება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით



სექს-მუშაკების უმრავლესობამ (86.7%) გამოიყენა კონდომი თავის ბოლო კლიენტთან. ეს მონაცემი ყველაზე მაღალია (90.4%) 31-39 წლის ასაკობრივ ჯგუფში. კითხვაზე, თუ ვისი ინიციატივა იყო კონდომის გამოყენება,

უმრავლესობაში (75.0%) უპასუხა, რომ ეს მისი ინიციატივა იყო, ხოლო 22.1%-მა აღნიშნა, რომ ეს ერთობლივი გადაწყვეტილება იყო. თოთხმეტმა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ არ გამოუყენებია კონდომი ბოლო კლიენტთან. კითხვაზე, თუ რა იყო ამის მიზეზი, 18.8%-მა უპასუხა, რომ კლიენტმა უარი თქვა, ხოლო 37.5%-მა - რომ არ უფიქრია ამაზე. თითქმის ერთმა მესამედმა (31.3%) აღნიშნა, რომ არ ეგონა, რომ კონდომის გამოყენება საჭირო იყო, რადგან კლიენტი ჯანმრთელად გამოიყერებოდა.


სქესობრივი ქცევა მუდმივ კლიენტებთან

"მუდმივი კლიენტი" არის პირი, რომელიც ხშირად იყენებს ერთი კონკრეტული სექს-მუშაკის სქესობრივ მომსახურებას. სექს-მუშაკების ნახევარზე მეტმა (57.3%) აღნიშნა, რომ ჰყავს მუდმივი კლიენტები (იხ. დანართი, ცხრილი 9). მუდმივი კლიენტების საშუალო რაოდენობა არის 2.5-დან უველაზე ახალგაზრდა ასაკობრივი ჯგუფისათვის, შემდეგ ორმაგდება (4.8) 25-30 წლის ასაკობრივი ჯგუფისათვის და უველაზე მაღალ საშუალო რაოდენობას აღწევს 19-25 წლის ასაკობრივ ჯგუფში (8.2) და 40 წელს გადაცილებული რესპონდენტების ჯგუფში (8.4).

სექს-მუშაკების ნახევარზე ოდნავ მეტმა (57.7%) აღნიშნა, რომ მისი ბოლო კლიენტი მუდმივი კლიენტი იყო. მხოლოდ ერთმა სექს-მუშაკმა მიუთითა, რომ თავის მუდმივ კლიენტთან არ ჰქონია სქესობრივი ურთიერთობა ბოლო 30 დღის მანძილზე. რესპონდენტების უმრავლესობაში (84.2%) გამოიყენა კონდომი მუდმივ კლიენტთან ბოლო სქესობრივი კონტაქტის დროს. სექს-მუშაკებმა უმეტესად მიუთითეს (79.2%), რომ კონდომის გამოყენება მუდმივ კლიენტთან ბოლო სქესობრივი კავშირის დროს მათი ინიციატივა იყო, ხოლო 20.8%-მა აღნიშნა, რომ ეს ერთობლივი გადაწყვეტილება იყო. ცხრა სექს-მუშაკმა (15.8%) არ გამოიყენა კონდომი ბოლო სქესობრივი კონტაქტის დროს. კითხვაზე, თუ რა იყო ამის მიზეზი, ოთხმა (44.4%) უპასუხა, რომ კლიენტი იყო წინააღმდეგი, ხოლო სამმა (33.3%) აღნიშნა, რომ კონტრაცეპტივებს იღებდნენ და არ ეგონათ, რომ ეს საჭირო იყო.

კითხვაზე, თუ რამდენად ხშირად იყენებდნენ სექს-მუშაკები კონდომს მუდმივ კლიენტებთან ბოლო 12 თვის განმავლობაში, ორმა სექს-მუშაკმა (3.8%) აღნიშნა, რომ არასოდეს იყენებდა კონდომს, ხოლო რესპონდენტების 55.8%-მა კი დაასახელა კონდომის მუდმივი გამოყენება. მუდმივ კლიენტებთან კონდომის რეგულარული გამოყენების უველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებელი (63.6% და 62.5%) აღნიშნა 19-24 და 31-39 წლის ასაკობრივმა ჯგუფებმა (დიაგრამა 7).

ლიაგრამა 7: კონდომის მუდმივი გამოყენება მუდმივ კლიენტებთან ბოლო 12 ოგის განმავლობაში ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით




სქესობრივი ქცევა მუდმივ სქესობრივ პარტნიორთან

მუდმივი სქესობრივი პარტნიორი არის მეუღლე/შეყვარებული/პიროვნება, ვისთანაც სექს-მუშაკი თანაცხოვრებას ეწევა ან რეგულარულად ამყარებს სქესობრივ კონტაქტს ფულადი ანაზღაურების გარეშე. სექს-მუშაკების ორ მესამედზე მეტა (71.7%) აღნიშნა, რომ ჰყავს მუდმივი სქესობრივი პარტნიორი (იხ. დანართი, ცხრილი 10).

სექს-მუშაკების მცირე რაოდენობას (4.7%) არ ჰქონდა სქესობრივი ურთიერთობა თავის მუდმივ პარტნიორთან ბოლო 30 დღის განმავლობაში. უმრავლესობაში იმათვან (81.7%), ვისაც ჰქონდა კონტაქტი მუდმივ პარტნიორთან, დაასახელდა 15-მდე სქესობრივი კონტაქტი.

86 სექს-მუშაკიდან, ვისაც ჰყავდა მუდმივი პარტნიორი, 81.4%-მა არ გამოიყენა კონდომი ბოლო სქესობრივი კავშირისას. ყველაზე უფროსმა სექს-მუშაკებმა მუდმივ პარტნიორთან ბოლო სქესობრივი კავშირის დროს კონდომის გამოყენების უფრო მაღალი პროცენტი აღნიშნებს (26.7%). რესპონდენტების ნახევარზე ცოტა მეტმა მიუთითა, რომ კონდომის გამოყენების შესახებ გადაწყვეტილება ერთობლივი იყო, ხოლო 37.5%-მა კი თქვა, რომ ეს მათი ინიციატივა იყო.

დიაგრამა 8: კონდომის არგამოყენების მიზეზები უკანასკნელი სქესობრივი კონტაქტის დროს კლიენტთან და მუდმივ პარტნიორთან




სექტემბერის მთვლოდ 12.8%-მა აღნიშნა კონდომის მუდმივი გამოყენება მუდმივ პარტნიორთან ბოლო 12 თვის მაჩილზე. უმრავლესობის (65.1%) თქმით, ისინი არასოდეს იუნებდნენ კონდომს მუდმივ პარტნიორთან ბოლო ერთი წლის განმავლობაში. კითხვაზე, თუ რა იყო კონდომის არგამოყენების მიზეზი, 86.7%-მა აღნიშნა, რომ ფიქრობდნენ, ეს არ იყო საჭირო, 18.6%-მა მიზეზად პარტნიორის უარი მიუთითა, 17.1%-მა აღნიშნა, რომ მათ არ მოსწონთ კონდომები, ხოლო 15.7%-მა იმიტომ არ გამოიყენა კონდომი, რომ პარტნიორი ჯანმრთელად გამოიყურებოდა.

კონდომის ხელმისაწვდომობა

ინტერვიუს დროს სექტემბერის სთხოვებს, დაესახელებინათ ადგილები, სადაც ისინი უმეტეს შემთხვევაში ყიდულობენ ან უფასოდ შოულობენ კონდომებს (წარმოდგენილია დანართში, ცხრილი 11 და დიაგრამაზე 9). თითქმის ყველა სექტემბერი (96.7%) იცის პიროვნება ან ადგილი, სადაც შეიძლება კონდომის შოვნა. რესპონდენტების უმრავლესობამ (91.4%) აღნიშნა, რომ ისინი კონდომებს აფთიაქტი ყიდულობენ, ნახევარზე ცოტა მეტმა კი (56.9%) - რომ კონდომებს საუნებში შოულობენ.

დიაგრამა 9: კონდომის შოვნის ადგილები



სექტემბერის უმრავლესობისთვის (96.6%) 30 წელი ან ნაკლებია საჭირო იმისათვის, რომ იყიდონ/იშოვონ კონდომი; 69.8%-მა აღნიშნა, რომ მათ ხუთი ან ნაკლები წელი სჭირდებათ, რომ იშოვონ კონდომი. სექტემბერის დაახლოებით ორ მესამედს (60.8%) თან არ ჰქონდათ კონდომი ინტერვიუს დროს. იმ სექტემბერის, რომელთაც თან ჰქონდათ კონდომი ინტერვიუს დროს, საშუალოდ 2 კონდომი ჰქონდათ; კონდომების მაქსიმალური რაოდენობა იყო 20. რესპონდენტების ერთ მესამედზე მეტს (36.7%) არ ჰქონდა კონდომები თავის სამუშაო ადგილზე.


ეს ადმონენტი ცხადყოფს, რომ არც ხელმისაწვდომობის შეზღუდულობა და არც ეკონომიკური ფაქტორები არ წარმოადგენს მთავარ მიზეზს იმისა, რომ კონდომები არ გამოიყენება კლიენტებსა და პარტნიორებთან. როდესაც კონდომის გამოყენება არ ხდება, ეს არის კლიენტისა თუ პარტნიორის უარის გამო და ასევე სგვი/აივ იგნორირების გამო (რადგანაც ისინი კლიენტისა და პარტნიორის გარეგნობით მსჯელობენ, "ჯანმრთელია" ის თუ "ინფიცირებული").

ბათუმში სექს-მუშაკებზე განხორციელებული ძალადობა

კითხვაზე, პქონიათ თუ არა ფიზიკური ძალადობის შემთხვევები გასულ წელს, სექს-მუშაკების 13.3%-მა განაცხადა, რომ ასეთ ფაქტებს ადგილი პქონდა (ცხრილი 12). იმ 16 სექს-მუშაკიდან, ვინც მოისურვა მოძალადის იდენტიფიცირება, 37.5% დაასახელა კლიენტი. მოძალადის მომდევნო მაღალი მაჩვენებელი (31.3%) მუდმივ პარტნიორებზე მოდიოდა.

ექვსმა სექს-მუშაკმა (5.0%) აღნიშნა, რომ იყო სექსუალური ძალადობის მსხვერპლი შანტაჟისა თუ დაშინების გამო. შემთხვევების 50%-ში მოძალადედ კლიენტი დასახელდა. სექს-მუშაკების მცირე პროცენტმა (5.8%, ანუ 7) განაცხადა, რომ იყო გაუპატიურების მსხვერპლი ბოლო ერთი წლის მანძილზე. მათგან სამი (42.9%) გააუპატიურა კლიენტმა, ხოლო ოთხი კი - უცნობმა პიროვნებამ ან სხვა "პირებმა".

დიაგრამა 10: უკანასკნელი წლის განმავლობაში სექს-მუშაკებზე განხორციელებული სექსუალური და/ან ფიზიკური ძალადობა



ტრეფიკინგი და საზღვარგარეთ მუშაობა

სექს-მუშაკების უმრავლესობას (85.5%) გაუგია ტრეფიკინგის შესახებ (იხ. დანართი, ცხრილი 13) და მათგან ხუთი (4.9%) ყოფილა ტრეფიკინგის მსხვერპლი. საინტერესოა, რომ მათგან ორმა აღნიშნა, რომ ტრეფიკინგის მსხვერპლი 3-5-ჯერ ყოფილა.

120 სექს-მუშაკიდან ერთმა მეოთხედმა (25.0%) განაცხადა, რომ წასული საზღვარგარეთ სამუშაოდ საკუთარი ნებით. ამათგან ნახევარზე მეტი (56.7%)

31-39 წლისაა. საშუალოდ, სექს-მუშაკები უცხო ქვეყნებში კომერციული სექსის მიზნით ბოლო წლის განმავლობაში, და ასევე 2003 წელსაც, ოთხჯერ იყვნენ. 2002 წელს, რესპონდენტების თქმით, ისინი უცხო ქვეყნებში სამუშაოდ საშუალოდ 2.3-ჯერ იყვნენ წასულნი. საზღვაგარეთ ვიზიტების რაოდენობა მცირედ გაიზარდა ბოლო სამი წლის მანძილზე. სექს-მუშაკების უმრავლესობამ (83.5%) აღნიშნა, რომ საზღვარგარეთ სამუშაოდ წასვლის ძირითადი მიზეზი მათვის მეტი ფულის შოვნა იყო, მხოლოდ 13.3%-მა განაცხადდა, რომ საზღვარგარეთ უკუთესი ცხოვრების პირობების გამო წავიდა.

კითხვაზე, თუ რომელ ქვეყანაში იყვნენ ისინი ბოლო წლის განმავლობაში, დიდა უმრავლესობამ (90.0%) თურქეთი დაასახელდა. მხოლოდ ორმა სექს-მუშაკმა აღნიშნა გერმანიაში, ხოლო ერთმა კი - ჩეხეთში მუშაობის ფაქტი. იმ 30 სექს-მუშაკიდან, ვინც ნამუშევარი არის საზღვარგარეთ, სამმა აღნიშნა, რომ პრობლემები ჰქონდა საზღვრის გადაკვეთის დროს. ერთადერთმა რესპონდენტმა მოისურვა ამ პრობლემის იდენტიფიკაცია და განაცხადდა, რომ მესაზღვრე ცდილობდა მისგან ფულის გამოძალვას.

კითხვაზე, ჰქონდათ თუ არა პრობლემები საზღვარგარეთ მუშაობის დროს, სექს-მუშაკებმა ისეთი პრობლემები დაასახელეს, რომლებიც ხშირია სექს-ინდუსტრიაში ნებისმიერ ქვეყანაში: კლიენტებისგან და "მამაშებისაგან" ცუდი მოჰყორბა და პოლიციელების მიერ ფულის გამოძალვა. ამ პრობლემების მიუხედავად, მათვან 57.1%-მა მიუთითა, რომ კიდევ წავიდოდნენ საზღვარგარეთ კომერციული სექსის მიზნით.

კითხვაზე, იყენებდნენ თუ არა კონდომს კლიენტებთან საზღვარგარეთ მუშაობის დროს, 30 სექს-მუშაკიდან 50%-მა განაცხადდა, რომ კონდომს მუდმივად იყენებდნენ. ოთხმა სექს-მუშაკმა (13.3%) თქვა, რომ კონდომს კლიენტებთან არასოდეს იყენებდა. რესპონდენტების თანაბარმა რაოდენობამ (18, ანუ 60%) აღნიშნა, რომ საზღვარგარეთ ყოფნისას ან კონდომს იყენებდა, ან თვეში ერთხელ ეგრეთ წოდებულ "პროფილაქტიკურ ნემსე" იკეთებდა. საზღვარგარეთ ნამუშევარი 30 სექს-მუშაკიდან თორმეული (40.0%) აღნიშნა, რომ მათვის ხელმისაწვდომი იყო სეგი/აივ/შიდსზე ტესტირება, ხოლო თერთმეტმა (36.7%) კი თქვა, რომ ჩაუტარებია ეს ტესტირება.

უმრავლესობა (70%) საზღვარგარეთ 2-4 კვირა დარჩა. მხოლო ერთმა სექს-მუშაკმა აღნიშნა, რომ ის საზღვარგარეთ მანამდე გაჩერდა, სანამ ის თანხა არ იშოვა, რომელიც სჭირდებოდა. საზღვარგარეთ მუშაობის დროს სექს-მუშაკების დიდ პროცენტს (60.0%) დღეში ხუთამდე კლიენტი ჰყავდა, 16.7%-ს - 5-10 კლიენტი, ხოლო ოთხს (13.3%) - ათზე მეტი კლიენტი. ერთი კლიენტისაგან სექს-მუშაკები საშუალოდ 87 ლარს (49 აშშ დოლარი) იღებდნენ, ხოლო უმრავლესობამ (86.7%) აღნიშნა, რომ საზღვარგარეთ მუშაობისას უფრო მეტი კლიენტი ჰყავდათ დღეში, ვიდრე საქართველოში.

ჯამში 12 სექს-მუშაკმა მიუთითა, რომ საზღვარგარეთ მუშაობისას ალკოჰოლს ყოველ დღე ან კვირაში ერთხელ იღებდა. ერთმა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ მარიჟუანას ეწეოდა.

სგგი-ის შესახებ ცოდნა და ჯანმრთელობის გაუმჯობესებისაკენ მიმართული ქცევა

თითქმის ყველა სექს-მუშაკმა (98.3%) იცოდა სგგი-ის შესახებ, როგორც ნაჩვენებია დანართში, ცხრილში 14. როდესაც რესპონდენტებს სთხოვეს, დაესახელებინათ სგგი-ის საეციფიკური სიმპტომები ქალებისათვის, 23.7% ეს ვერ შეძლო, ხოლო 62.7%-მა ვერ დაასახელა სგგი-ის სიმპტომები მამაკაცებში.

ქალებისათვის დამახასიათებელი სგგი-ის ყველაზე ხშირი სიმპტომები, როგორიცაა უჩვეულო ვაგინალური გამონადენი და ქავილი, დაასახელა რესპონდენტების 47.5%-მა და 33.1%-მა, შესაბამისად. ქალების მხოლოდ 13.6%-მა დაასახელა ტკივილი მუცლის ქვედა ხაწილში.

120 სექს-მუშაკიდან 77-მა (ანუ 64.2%) აღნიშნა, რომ ბოლო 12 თვის განმავლობაში ჰქონია სგგი-ის სულ ცოტა ერთი სიმპტომი. დროის ამ პერიოდში სექს-მუშაკების ნახევარზე მეტს (52.5%, ანუ 63) აღნიშნებოდა პათოლოგიური ვაგინალური გამონადენი და 11.4%-ს (ანუ 14) - ვაგინალური წყლული/წვა.

77 სექს-მუშაკიდან, ვისაც ჰქონდა სგგი სიმპტომები, 65-მა (84.4%) ჩაიტარა გარკვეული მკურნალობა. ჯამში, ყველაზე დიდმა ხაწილმა (44.6%) თვითმურნალობის რომელიმე მეთოდს მიმართა, 38.5%-მა მკურნალობისათვის სახელმწიფო კლინიკას თუ საავადმყოფოს მიაკითხა, 32.3%-მა მკურნალობა ან სამკურნალო რჩევა აფთიაქში მიიღო და 10.8%-მა კერძო კლინიკაში იმკურნალა.

კითხვაზე, თუ როგორი იყო მათი სქესობრივი ქცევა ინფიცირების პერიოდში, რესპონდენტების თანაბარმა რაოდენობამ (44.6%) აღნიშნა, რომ ან კონდომს იყენებდა ან თავს იკავებდა სქესობრივი კონტაქტებისაგან, ხოლო 35.4%-მა თავის სქესობრივ პარტნიორს შეატყობინა სგგი-ის შესახებ.

ცოდნა და ტესტირება აივ/შიდსზე

პრაქტიკულად ყველა სექს-მუშაკს (100%) გაგებული ჰქონდა აივ-ის და შიდსის შესახებ (იხ. ცხრილი 15). 120-დან მხოლოდ სამი (ანუ 2.5%) იცნობდა აივ ინფიცირებულ ადამიანს. ერთმა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ აივ დადებითი მეგობარი ჰყავს.

ზოგადად, სექს-მუშაკების უმრავლესობაშ იცოდა აივ-ის გადაცემის გზები. დიდი უმრავლესობის (90.0%) აზრით, კონდომის სწორი გამოყენება სგგი/აივ-ის გადაცემისაგან თავდაცვის გზაა. პრაქტიკულად ყველა სექს-მუშაკმა (98.3%) იცის ნემსის/ჰპრიცის საზიარო გამოყენების დროს ინფიცირების რისკის შესახებ. ასევე ბევრმა (89.2%) იცის, რომ ერთი ერთგული პარტნიორის ყოლა თავდაცვის გზას წარმოადგენს. კითხვები, რომლებზეც ყველაზე ხშირად არასწორი პასუხები იქნა მიღებული, ეხებოდა კოლოს ნაკბენით და საკვების გაზიარებისას აივ-ის გადაცემის რისკს (შესაბამისად, 51.7% და 50.8%). დიდი უმრავლესობისათვის (81.7%) ცნობილია, რომ აივ დადებითი ადამიანი შეიძლება ჯანმრთელად გამოიყურებოდეს. საინტერესოა, რომ 35 სექს-მუშაკმა (29.2%) სწორად უპასუხა აივ/შიდსის შესახებ დასმულ ექვსივე კითხვას, მაშინ, როდესაც 2002 და 2004 წელს თბილისში ქუჩაში მომუშავე სექს-


დაწესებულებებში მომუშავე სექს-მუშაკების მახასიათებლები, მაღალი რისკის ქვევები, სექსოდრიფი გზით ვაღიამდები ინციდენტების/აივ-შიდნის შესახებ ცოდნა და ამ ინციდენტების გავრცელება, ბათუმი, საქართველო - 2004

მუშაკებს შორის ჩატარებულ კვლევებში ამ კითხვებს მხოლოდ ერთმა (0.6%) და ორმა (1.3%) სექს-მუშაკმა გასცა სწორი პასუხები.

სექს-მუშაკების დიდმა პროცენტმა (95.0%) იცის დედისგან შვილზე აივ-ის გადაცემის რისკის შესახებ (გერტიკალური გადაცემა); 80%-ისთვის ცნობილია, რომ ინციდენტი შეიძლება, გადაეცეს ჩვილს ძუძუთი კვების გზით. თუმცა, კითხვაზე, თუ რა შეიძლება დედამ მოიმოქმედოს, რათა შეამციროს ნაყოფზე გადაცემის რისკი, 46.5%-მა ვერ გასცა პასუხი. რესპონდენტების ერთ მეოთხედზე ცოტა მეტმა (26.3%) იცის, რომ ორსულობის დროს პროფილაქტიკური მკურნალობის ჩატარება ამცირებს დედისგან ნაყოფზე გადაცემის რისკს.

როდესაც სექს-მუშაკებს სგბი/აივ-ის პრევენციის გზებთან დაკავშირებული კითხვები დაუსვეს, 4.2%-მა ვერ შეძლო დაესახელებინა ისინი. ხუთმა რესპონდენტმა (4.2%) იციდა პრევენციის სხვა მეთოდები, როგორიცაა სქესობრივი კონტაქტებისაგან თავის შეკავება, ან კონტაქტების შეზღუდვა ერთი სანდო, ჯანმრთელი პარტნიორით (დიაგრამა 11). თუმცა, სექს-მუშაკების დიდმა უმრავლესობამ იცის, რომ ნემსების/შპრიცების საზიარო გამოყენება, ისევე როგორც კონდომის სწორი გამოყენება, იცავს სგბი/აივ-ისაგან (შესაბამისად, 98.3% და 94.1%).

დიაგრამა 11: იმ სექს-მუშაკების პროცენტული რაოდენობა, რომლებმაც სწორად დასახელეს სგბი/აივ-ის პრევენციის ოთხივე საშუალება




ყოველი ხუთი სექს-მუშაკიდან ოთხზე მეტმა (85.0%) აღნიშნა, რომ მათი წრის ადამიანებისათვის შესაძლებელია აივ-ზე კონფიდენციალური ტესტირების ჩატარება. მხოლოდ 5 რესპონდენტისთვის (ანუ 4.2%) არ იყო ცნობილი აივ-ზე ტესტირების ადგილი ბათუმში.

სექს-მუშაკების ნახევარზე ცოტა მეტმა (53.3%) აღნიშნა, რომ ჩატარებია აივ-ტესტირება და უმრავლესობამ (92.2%) შეიტყო ტესტირების შედეგები. კითხვაზე, ნებაყოფლობითი იყო თუ არა აივ-ტესტირება, 90.6%-მა თქვა, რომ ის ნებაყოფლობითი იყო. უმრავლესობამ (70.3%) აივ-ზე ტესტირება ბოლო წლის განმავლობაში ჩაიტარა.

სექს-მუშაკებს ჰქითხეს, ვის შეატყობინეს მათ თავისი აივ-ტესტირების შედეგი. იმ რესპონდენტების უმრავლესობამ, ვისაც ჩატარებული აქვს ტესტირება,

აღნიშნა, რომ მათ შეატყობინეს მეგობრებს (42.9%) ან კოლეგებს (26.2%); 21.4%-მა შედეგი მუდმივ პარტნიორს შეატყობინა, სამმა სექს-მუშაკმა უთხრა თავის მუდმივ კლიენტს, ხოლო ერთმა კი - კლიენტს.

დიაგრამა 12: ვის შეატყობინებდა სექს-მუშაკი, აივ ინფიცირებული რომ ყოფილიყო



კითხვაზე, ვის შეატყობინებდნენ აიგ-ტესტირების შედეგს, თუ ის დადგებითი იქნებოდა, 34.2%-მა უპასუხა, რომ არავის, ერთ მესამედზე მეტმა (39.1%) - მეგობარს; 33.9%-მა - მუდმივ პარტნიორს და 50.0%-მა - ოჯახის წევრებს ან ნათესავებს. შედარებით მცირე პროცენტმა (16.5%) აღნიშნა, რომ შედეგს კლიენტებს შეატყობინებდა (დიაგრამა 12).

აიგ/შიდსის შესახებ ინფორმაციის წყაროები


თითქმის ყველა სექს-მუშაკს (98.3%) მიღებული პქონდა გარკვეული ინფორმაცია აიგზიდსის შესახებ. 25 წელზე ახალგაზრდა და 40 წელზე მეტი ასაკის ყველა სექს-მუშაკი გათვითცნობიერებული იყო აიგზიდსთან დაკავშირებით (იხ. დანართი, ცხრილი 16). მხოლოდ ორმა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ არასოდეს მიუღია ინფორმაცია აიგზიდსის შესახებ.

სექს-მუშაკები აღნიშნავენ, რომ აივ/შიდსის შესახებ ინფორმაციის ძირითადი წყარო არის ტელევიზია ან/და რადიო (73.7%), შემდეგ სოციალური მუშაკები (44.9%), და გაზეობის/ურნალები (42.4%). მცირე პროცენტში (16.9%) ინფორმაცია ნათესავებისა და შეგობრებისაგან მიიღო. სამშა სექს-მუშაკება (2.5%) აივ/შიდსის ინფორმაცია თავისი კლიენტებისაგან მიიღო.

ტელევიზია და რადიო ინფორმაციის ძირითადი წყაროა უკელა ასაკობრივი ჯგუფისათვის. ინფორმაციის შემდეგი უკელაზე მნიშვნელოვანი წყაროა ნაბეჭდი მედია. სექს-მუშაკებს ასევე პკითხეს, რამდენად ხშირად უსმენდნენ ისინი რადიოს ან უკურებდნენ ტელევიზორს. რესპონდენტების უმრავლესობაში (77.5%) აღნიშნა, რომ ტელევიზორს ყოველ დღე უკურებდა ბოლო ერთი ოვის განმავლობაში, ხოლო 25.0% კი რადიოს უსმენდა ყოველდღიურად. რადიოს როლი, როგორც აიგ/შიდსხე ინფორმაციის წყაროსი, იზრდება ასაკთან

ერთად, 0%-დან ყველაზე ახალგაზრდა ჯგუფისათვის 30%-მდე 40 წელს გადაცილებული სექს-მუშაკებისათვის (დიაგრამა 13).

დიაგრამა 13: ყოველდღიური რადიოს მოსმენა ან ტელევიზორის ყურება




სექს-მუშაკების დამოკიდებულება აივ ინფიცირებული
ადამიანების მიმართ

აიგ/შიდსი სტიგმატიზირებული თემაა, რაც დაადასტურა სექს-მუშაკების პასუხებმა შეკითხვათა სერიაზე, რომლებითაც მკვლევარები იკვლევდნენ მათ დამოკიდებულებას აივ დადებითი ადამიანების მიმართ (იხ. დანართი, ცხრილი 18). ნახევარზე მეტი მოუკლიდა აივ-ით ინფიცირებულ მამაკაც ან ქალ ნათესავს, (შესაბამისად, 55.8% და 57.5%), თითქმის ნახევარი (47.5%) საიდუმლოდ შეინახავდა იმ ფაქტს, რომ მისი ოჯახის წევრი აივ ინფიცირებულია.

ორ მესამედზე ოდნავ ნაკლების (60.0%) აზრით, ინფიცირებულ სტუდენტს არ აქვს უფლება, გააგრძელოს სწავლა. მხოლოდ დაახლოებით ერთი მესამედი (30.8%) არის ტოლერანტული აივ ინფიცირებული მასწავლებლის მიმართ. 25.8% არ მოერიდება ინფიცირებულ დამიანთან ერთად საკვების მიღებას და 20.0% იყიდიდა საკვებს აივ დადგებითი გამზიდვებისაგან (დიაგრამა 14).

დიაგრამა 14: სექს-მუშაკების დამოკიდებულება აივ ინფიცირებული ადამიანის მიმართ



აივ/ჰიდას და სგბი-ზე ტესტირების შედეგები

კვლევაში ორი სექს-მუშაკი აღმოჩნდა დადებითი აივ ანტისეეულებზე ELISA მეთოდის გამოყენების შედეგად, მაგრამ ამ შედეგებიდან არც ერთი არ დადასტურდა Western Blot-ით (იხ. დანართში, ცხრილი 19).

ყველაზე ხშირად გამოვლენილი სგბი იყო სიფილისი (ე.წ. რეაქტიული სიფილისის სეროლოგია). ოცდათვრამეტი (38) სისხლის სინჯი (33.0%) იყო დადებითი სიფილისზე RPR და TPHA ტესტებით და ყველა შემთხვევა დადასტურდა ELISA მეთოდით. დადასტურებული რეაქტიული სიფილისის სეროლოგიის პროცენტული რაოდენობა უფრო მეტი იყო ორ უფროს ასაკობრივ ჯგუფში (31-39 წლის - 37.5%; 40 წლზე მეტი ასაკის - 40%).

სინჯების ოცი პროცენტი (120 სექს-მუშაკიდან 24) იყო რეაქტიული ქლამიდიის PCR ტესტზე და 14.2% - გონორეის PCR ტესტზე (120-დან 17). გონორეის ინფექციის ყველაზე მაღალი პროცენტი (29.4%) დაგინდა 19-24 ასაკობრივ ჯგუფში, ხოლო ქლამიდიური ინფექციის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი კი (24.1%) - 25-30 წლის სექს-მუშაკებში. განსხვავება გონორეის რეაქტიულობაში ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით სტატისტიკურად მნიშვნელოვანია ($\chi^2=9.67$ (4df), $p<0.05$).

აღსანიშნავია, რომ ყველაზე ახალგაზრდა ასაკობრივი ჯგუფის ორი სექს-მუშაკიდან ერთს დაუდასტურდა როგორც გონორეა, ისე ქლამიდიოზი. თუმცა, ამ ასაკობრივი ჯგუფის მცირე ზომის გამო (N=2), შეუძლებელია ამ შედეგის განზოგადება.

აღმოჩნდილი სგბი-ს პრევალენტობა საკმაოდ მაღალია, იმის გათვალისწინებით, რომ სექს-მუშაკების დიდმა პროცენტმა აღნიშნა კლიენტებთან კონდომის მუდმივი გამოყენება. შემდგომმა ანალიზმა აჩვენა, რომ იმათ შორის, ვინც კლიენტებთან კონდომის მუდმივი გამოყენება აღნიშნა, 38.5%-ს აღმოაჩნდა გონორეა, 13.8%-ს - ქლამიდიოზი და 20.0%-ს - სიფილისი.

